საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 12-14 მარტი. 2021 წ. №51-52 (9170-9171) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ბოროტებაამოსაგლეჯები კი არიან, მაგრამ...

ნოდარ მელაძეს და მაკა ჩიხლაძეს სააკაშვილის პროვოკაციული გეგმით დახოცვას უპირებენ



ლევან მამალაძე 18 წელიწადი პოლიტიკურ დევნილობაშია. ამ დღეებში მან შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. კერძოდ, ლევან მამალაძე კიევიდან იტყობინება:

ჩვენ გვაქვს სერიოზული ინფორმაციული წვდომა და კონტაქტები და ის, რაც მე ვნახე და მოვისმინე, გაოგნებული ვარ და გადავწყვიტე საზოგადოებას გავაგებინო, რაც ხდება.

საუბარია იმ პროვოკაციაზე, რასაც სააკაშვილი გეგმავს – ის კონკრეტულად, ადეიშვილთან საუბრისას ლაპარაკობს, რომ ვითარებიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაში არის შექმნილი, აქვს დაგეგმილი, განახორციელოს კონკრეტული ჟურნალისტების ერთგვარი მსხვერპლთშეწირვა – იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა.

ჩანაწერში საუბარია, რომ უნდა განხორციელდეს გიორგი სანაიას მკვლელობის მსგავსი სცენარი, რათა გამოიწვიონ რევოლუციური პროცესები, რომ ჩამოშალონ ქვეყანა. უკანასკნელი სიტყვებით იხსენიებენ ოპოზიციას, ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენელს, რომლებიც, მათი თქმით, ვერაფერს ახერხებენ და რევოლუციას ვერ აწყობენ იმ ჩანაწერების საფუძველზე და ვერ ახერხებენ გადააყენონ ახლად დანიშნული პრემიერი ღარიბაშვილი. საყვედურს გამოხატავენ: არაფრის თავი არ აქვთ მაგათო.

სააკაშვილი კონკრეტულ ინსტრუქციებს და დავალებებს იძლევა. ამ ჩანაწერების საფუძველზე ის არის კონკრეტულად მკვლელობის შემსრულებლის ძიებაში.

დღემდე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ მისი ზონდერები, მეტიც, ისინი დაწინაურებულებიც არიან, ხოლო სააკაშვილი, ამ ეტაპზე, ფინანსების მობილიზებას აპირებს, რომ რევოლუციური სცენარი განახორციელოს.

ყველამ ვიცით, ვინც არის ეს ადამიანი და ძალიან ძნელია ყველაფრის მოსმენა, რასაც ეს არანორმალური კაცი ამბობს: ახლა არის სწორედ ის ვითარება, როცა შეიძლება რევოლუცია მოვაწყოთ და მას უნდა შევწიროთ კონკრეტული ადამიანები. უნდა დაიხოცონ ჟურნალისტები, რომ აირიოს ქვეყანაში ვითარება.

დიახ, ეს არის რეალური პრობლემა და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ დაიცვას ეს ჟურნალისტები, ასევე უნდა დაიცვას ოპოზიცია, რომლის მიმართაც, არ არის გამორიცხული, მსგავსი ღონისძიებები ჰქონდეს სააკაშვილს დაგეგმილი.

მე პირდაპირ ვაცხადებ: მზად ვარ, ვითანამშრომლო შესაბამის სტრუქტურებთან სახელმწიფო ინტერესების ჩარჩოებში. მზად ვარ, სრული ინფორმაცია მივაწოდო მათ იმ წყაროსგან, რომელმაც მომაწოდა ეს ინფორმაცია და მისი სანდოობაც გადამოწმებული მაქვს, ჯერ თანხმობა არ მიმიღია, რომ ჩანაწერები დავდო ღიად. მე მათთან მოლაპარაკებების რეჟიმში ვარ და დარწმუნებული ვარ, თანხმობას მივაღწევ.

მე ვიღებ ამ ჩანაწერების გასაჯაროებაზე თანხმობას, გამოვამზეურებ ამ ინფორმაციას და ყველა ყველაფერს დაინახავს.

დღეს ამის დაშვება წარმოუდგენელია. ახლა, როცა შანსი გვაქვს, რომ ევროპასთან და დასავლეთთან გაღრმავდეს ინტეგრაციული პროცესები, თუ სააკაშვილის გეგმა განხორციელდება, ყველაფერი ჩამოიშლება.

გთხოვთ ყველას: ცივი გონებით მოვეკიდოთ ამ საკითხს და ვიმოქმედოთ!

გამოიყენებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი გიორგი გახარიას ავაზაკთა ბრბოს დასამთავრებლად?!

6



ლადო კახაძე: მელიას გასალები ხელში უჭირავს, გადაატრიალოს და გამოვიდეს გარეთ...



5

დიდგორის 900 წლისთავზე დავით აღმაშენებელი დედაქალაქის გულში უნდა შემობრძანდეს!

4

დავით მირცხულავა: მსოფლიოს ისტორიას ბეტონის გრავიტაციული კაშხლის ჩამონგრევა არ ახსოვს

ერდოღანის პლატფორმა და საქართველო

3



ირაკლი ღარიბაშვილი:

სრულად ვიზიარებთ ევროპული საბჭოს რეკომენდაციას!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე 15-17 მარტს ბრიუსელში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით ისაუბრა.

მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში გაიმართება მაღალი დონის შეხვედრები როგორც ევროკომისიაში, ასევე ევროპულ საბჭოსა და ნატოში.

„მინდა, კიდევ ერთხელ მოსახლეობისთვის განვმარტო, რომ ჩვენ 15-17 მარტს მივემგზავრებით ვიზიტით ბრიუსელში. ამ ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი გვაქვს მაღალი დონის შეხვედრები, როგორც ევროკომისიაში, ასევე ევროპულ საბჭოში, ნატოში. 16 მარტს გაიმართება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეექვსე სხდომა, რომელზეც ჩვენ წარმოვაჩენთ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან პროგრესს და წინსვლას არაერთი მიმართულებით რეფორმების განხორციელების საქმეში“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და აღნიშნა, რომ საქართველოს მიმართ მის მხარდაჭერას აფასებს. ამასთან, ღარიბაშვილის თქმით, მიესალმება პრეზიდენტ მიშელის პირადი წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის საქართველოში ჩამოსვლას და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობას.

„მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და აღვნიშნო, რომ დიდად ვაფასებთ მის მხარდაჭერას, მის ჩართულობას ჩვენი ქვეყნის მიმართ. რაც შეეხება პრეზიდენტ მიშელის პირადი წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის ვიზიტს საქართველოში, ჩვენ მივესალმებით მის ჩამოსვლას და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი მონაწილეობა პროცესების კონსტრუქციულად წარმართვას შეუწყობს ხელს. აქვე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმი. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ევროპული საბჭოს რეკომენდაციას და რჩევას, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში ოპოზიციამ და ხელისუფლებამ გამოვნახოთ საერთო ენა და მივაღწიოთ საერთო შეთანხმებას, რათა ჩვენმა პარლამენტმა დაიწყოს ნორმალური მუშაობა და ქვეყანა დაუბრუნდეს ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებას. რაც მთავარია, ჩვენ ყველამ უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართველი ხალხისა და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებით“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კომპანია OMV PETROM-ის შემოსვლა ადასტურებს, რომ საქართველოში არის ძალიან კარგი ბიზნესგარემო

ავსტრიულ კომპანია OMI Petrom-თან კონტრაქტის გაფორმება არის იმის დემონსტრირება, რომ კომპანია გამოხატავს სრულ მზაობას, დაიწყოს პირველი ფაზის განხორციელება საქართველოში. ეს ადასტურებს, რომ საქართველოში ძალიან კარგი ბიზნესგარემოა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„მინდა, კომენტარი გავაკეთო და გამოვეხმაურო შეთანხმებას, რომელიც გააფორმა ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ ერთ-ერთ უდიდეს ავსტრიულ კომპანია OMV Petrom-თან, რომელიც საქართველოში შემოვიდა. მოგეხსენებათ, კონტრაქტი ითვალისწინებს ნავთობისა და გაზის ძიება-მოპოვებაზე სამუშაოების დაწყებას საქართველოში შავი ზღვის აკვატორიაში. აქედან გამომდინარე, მინდა, კიდევ სიხარულით აღვნიშნო ეს ფაქტი. ეს არის იმის დემონსტრირება, რომ ისეთი მსხვილი კომპანია, როგორიც არის OMV Petrom, გამოხატავს სრულ მზაობას, ძალიან მალე დაიწყოს პირველი ფაზის განხორციელება საქართველოში, რაც იმის დადასტურებაა, რომ საქართველოში არის ძალიან კარგი ბიზნესგარემო“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შარლ მიშელი: ევროპა აქტიურად შეუწყობს ხელს თავის ღირებულებებს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში

„ევროკავშირმა წინასწარ შეუკვეთა ორ მილიარდზე მეტი დოზა, ორჯერ მეტი, ვიდრე საჭიროა მისი მოსახლეობის ვაქცინაციისთვის. ზედმეტი დოზები, რომელსაც ჩვენს პარტნიორ ქვეყნებსა და მსოფლიოს რეგიონებს მივცემთ, რამდენიმე ასეული მილიონი ადამიანის ვაქცინაციას გახდის შესაძლებელს. უფრო მეტიც, ევროპა აქტიურად შეუწყობს ხელს თავის ღირებულებებს კონკრეტული და ძლიერი ქმედებების საშუალებით, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სტრატეგიული კავშირი გვაქვს, მაგალითად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, სადაც გასულ კვირას ვიყავი“, — აღნიშნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

ვინ აიცრება პირველი?

საქართველოში კორონავირუსის ვაქცინის შემოტანის თარიღი ცნობილია. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ვაქცინის პირველი დოზები ქვეყანაში დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე შემოვა.

„შაბათიდან საქართველოში ვაქცინების ეტაპობრივი მოწოდება დაიწყება“, — აღნიშნა მინისტრმა. უწყების ხელმძღვანელმა გაწეული შრომისთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, კოვაქს-პლატფორმასა და UNICEF-ს მადლობა გადაუხადა. **„სწორედ მათი დახმარებით გახდა შესაძლებელი ვაქცინის დაჩქარებული ტემპით შემოტანა“,** — აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

„თქვენ იცით, რომ გაწერილი გვაქვს კონკრეტული გრაფიკი, რომელიც ვაქცინაციის საბჭომ შეიმუშავა. პირველ რიგში აიცრებიან ექიმები და შემდეგ — დანარჩენი რისკ-ჯგუფები. პირველ რიგში ვაქცინა გადანაწილდება დიდ ქალაქებში, რომელთა ჩამონათვალიც ასევე ცნობილია საზოგადოებისთვის. ჩვენ განსაზღვრული გვაქვს სამედიცინო დაწესებულებები, სადაც ჩატარებულია ტრენინგები და მიღებულია უსაფრთხოების ყველა ზომა, რათა თავიდან იყოს აცილებული ყველა შესაძლო და სავარაუდო გართულება. ჩვენ მივყვებით არსებულ გეგმას, რომელიც უკვე გასაჯაროებულია“, — განაცხადა ტიკარაძემ.

რას უჩივიან „ასტრაზენეკას“ ვაქცინას?

ავსტრია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი და ლატვია „ასტრაზენეკას“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენებას აჩერებს.

ავსტრიის წამლის ეროვნულმა მარეგულირებელმა „ასტრაზენეკას“ ვაქცინის გამოყენება მას შემდეგ შეაჩერა, რაც ოთხ ადამიანს ვაქცინის მიღების შემდეგ სისხლის შედედების საშიში მდგომარეობა დაუდგინდა. ესტონეთმა, ლიეტუვამ, ლუქსემბურგმა და ლატვიამ „ასტრაზენეკას“ ვაქცინის ჯგუფის გამოყენება შეაჩერა, რათა ევროპის წამლის სააგენტოსთვის გამოძიების ჩასატარებლად დრო მიეცათ.

ევროპის წამლის სააგენტოს თქმით, ვაქცინის იმ ჯგუფის გაკეთება, რომელიც ავსტრიაში გამოიყენეს, 49 წლის მედდის გარდაცვალების მიზეზი არ გამხდარა. ის გარდაიცვალა მრავლობითი თრომბოზით, სისხლძარღვებში სისხლის კოლტების წარმოქმნით, ვაქცინის მიღებიდან ათი დღის შემდეგ. მეორე პაციენტს ფილტვების სისხლძარღვების ემბოლიის დიაგნოზი დაუსვეს, რომლის გამოჯანმრთელება მიმდინარეობს. სისხლის შედედება კიდევ იმ ორ პაციენტს გამოუვლინდა, რომელმაც ვაქცინის დოზა იმავე ჯგუფიდან მიიღეს. ევროპის წამლის სააგენტოს განცხადებით, ამჟამად არ არსებობს მტკიცებულება, რომ ვაქცინამ გართულებები გამოიწვია. ამასთან, თრომბოზი არ შედის ვაქცინის პოტენციური გვერდითი ეფექტების ჩამონათვალში.

შვეიცარიის ელჩი: ვიმედოვნებთ, რომ პარტიები მოძებნიან კომპრომისს დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად

„უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ მოთამაშეს შორის მნიშვნელოვანია ერთმანეთთან დაახლოება. მედიატორებსა და ფასილიტატორებს შეუძლიათ ამ პროცესის მხარდაჭერა, მაგრამ პროცესი უნდა ეფუძნებოდეს დიალოგს, ერთმანეთის პატივისცემას, სხვადასხვა პოლიტიკური მოთამაშის თანაცხოვრების პატივისცემას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პოლიტიკური პარტიები მოძებნიან პოლიტიკურ გადაწყვეტას და კომპრომისს, რათა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები განმტკიცდეს. გადაწყვეტა უნდა იყოს ქვეყნის შიგნით. საქართველოს პოლიტიკურმა მოთამაშეებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორი გამოსავალი შეესაბამება ყველაზე უკეთესად საქართველოსა და საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს. შვეიცარია, როგორც პირდაპირი დემოკრატიის ქვეყანა, დაინტერესებულია, რომ საქართველოს მოსახლეობა ფოკუსირებული იყოს პოლიტიკურ გადაწყვეტაზე“, — განაცხადა საქართველოში შვეიცარიის ელჩმა პატრიკ ფრანცენმა.

მეხსიერების პრობლემას ბილობილი შველის, ინგულია!

ჟურნალისტი და ტელეკომპანია „პირველის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ინგა გრიგოლია სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომელიც პროკურატურას ტელევიზიიდან მასალების ამოღების უფლებას აძლევს.

„ანუ ტელევიზიაში აპირებთ შემოსვლას ძალით? შემოჭრას? იმიტომ, რომ არ შემოგიშვებთ! ომი გინდათ? და მარტო იმიტომ გადაწყვიტეთ ეს, რომ ერთი კაცი გაბრაზდა? რატომ გამახსენდა შევარდნაძის დროის „რუსთავი ორი“? დახურვის სურვილით აღგზნებულები რომ მიადგნენ დოკუმენტებით და მერე რითიც დამთავრდა, ყველამ ვიცით? აბა გაბედეთ! ხომ იცით, მრავლისმნახველი ვარ და ასეთი ამბების ფინალიც ვიცი“, — წერს გრიგოლია.

„მეხსიერების პრობლემას ბილობილი შველის“, — ასე გამოეხმაურა ინგა გრიგოლიას ირაკლი ლატარია და მიხეილ სააკაშვილის დროს დარბეული და დახურული ტელევიზიები გაახსენა.

„მოიცა, მოიცა. შევარდნაძის „რუსთავი 2“ გაგახსენდა, ინგა და არ გაგახსენდა იმედი, თმაჩათლახას ტელევიზია, ობიექტივი და ა.შ? ანუ, მიშას პერიოდი არ გახსოვს? თან რა პარალელია ახლა? კონკრეტული გადაცემის, კონკრეტული მასალები უნდა ამოიღონ — რა არის აქ საგანგაშო? !!! არ ვიცი ნუ, არ ვიცი!

P. S. 2012 წლიდან დღემდე კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნდა ორი ტელევიზია, ერთ ტელევიზიას შეჩერებული ლიცენზია გაუგრძელდა და შეიქმნა კიდევ ახალი სამი ოპოზიციური ტელევიზია. თუ რამე დაიხურა, დაიხურა სახელისუფლებო ტელევიზია მხოლოდ, ინფო 9!! მეხსიერების პრობლემას შველის ბილობილი“, — წერს ირაკლი ლატარია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ



ᲜᲐᲢᲝᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ (NSPA) ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲢᲝ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ (JTEC) 20 ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ, ᲜᲐᲢᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲨᲘᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ.

მისივე თანახმად, NSPA საქართველოს მრავალი წელია, უჭერს მხარს მისი უსაფრთხოების და თავდაცვის შესაძლებლობების განმტკიცებისა და მოდერნიზაციის მიზნით.

განცხადების მიხედვით, საქართველო NATO-ს ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორია, 2014 წლიდან კი, NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას.

„ერთობლივი სწავლებისა და შეფასების ცენტრი NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში განხორციელებულ ერთ-ერთ ინიციატივას წარმოადგენს და მიზნად ისახავს საქართველოს ტრენინგის, შეფასებისა და სერთიფიცირების შესაძლებლობების მხარდაჭერას, რამაც უნდა განამტკიცოს ოპერატიული მზადყოფნა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ურთიერთქმედება“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ალიანსის განცხადებით, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ალიანსის ოპერაციებში და თანამშრომლობს მოკავშირეებთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მრავალი მიმართულებით.

ᲚᲘᲜᲓᲐ ᲗᲝᲛᲐᲡ-ᲒᲠᲘᲜᲤᲘᲚᲓᲘ: ᲔᲣᲗᲝᲡ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲖᲔ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲖᲔᲬᲝᲚᲐ...

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ **განაგრძობს საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20%-ის ოკუპაციას და ამასთან მხარს უჭერს ან სისტემატურად უგულებელყოფს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების შეურაცხყოფას,** — ამის შესახებ გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ლინდა თომას-გრინფილდმა განაცხადა. განცხადება მან ეუთოსგან თანამშრომლობის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს ონლაინ-სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

„რუსეთს ჯერ კიდევ სრულად არ შეუსრულებია 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მათ შორის, მისი ვალდებულება, გაიყვანოს საკუთარი ძალები კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, ან მისი ვალდებულება ჰუმანიტარულ ორგანიზაციებისთვის შეუზღუდავი წვდომის დაშვების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ეუთოს მოვუწოდებთ, რუსეთზე მოახდინოს ზეწოლა, რათა დაასრულოს ოკუპაცია და ცეცხლის შეწყვეტის 2008 წლის შეთანხმება სრულად შეასრულოს“, — განაცხადა თომას-გრინფილდმა.

ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲗᲔᲡᲝᲡ ᲜᲘᲰᲘᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ �პᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲖᲔ, — ასე შეაფასა დავით ზალკალიანმა რუსეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის სერგეი ნარიშკინის განცხადება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ნარიშკინის გზავნილს „პროვოკაციული“ უწოდა.

„როგორც არასდროს, ისეთ მაღალ ნიშნულზეა საქართველოსა და მის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს შორის თანამშრომლობა ყველა მიმართულებით: თავდაცვის და უსაფრთხოების, ეკონომიკური თანამშრომლობის, დემოკრატიის გაძლიერების. ამერიკა-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია სწორედ ამას მიანიშნებს და ამას მიანიშნებს ის განცხადებები, რომლებიც ვიხილეთ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან“, — განაცხადა ზალკალიანმა.

რუსეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა სერგეი ნარიშკინმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, საქართველოში პოლიტიკური ამინდი შეცვალოს.

ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲯᲔᲑ ᲢᲐᲘ�პ ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲛ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲔᲥᲕᲡᲗᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡᲐ�გᲐᲜ, ᲞᲚᲣᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲘ, ᲦᲠᲛᲐ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ �გᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ �თᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲘᲚᲔᲑᲔᲜ. ᲖᲝ�გᲛᲐ ᲛᲐᲡ „ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ 2“-Ც ᲙᲘ Უ�წᲝᲓᲐ.

ეს ინიციატივა ჯერჯერობით მხოლოდ ერდოღანის წინადადებაა. პუტინის განზრახულობათა შესახებ კი არაფერი ვიცით. ერდოღანი დაბეჯითებით ავითარებს პანთურქულ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც თურქულენოვანმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ერთიანი ალიანსი, ანუ ლიგა. მასში თურქეთის გარდა შევლენ აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. აგრეთვე იგეგმება რაიმე ფორმით იმ თურქული ავტონომიების მონაწილეობაც, რომლებიც სადღეისოდ სხვადასხვა სახელმწიფოებში მდებარეობენ. ასეთებია: თათრეთი და ბაშკირეთი (რუსეთი), ადარბადაგანი (ირანი), სინძიანი (ჩინეთი).

ამას წინათ შედგა თურქეთის თავდაცვის მინისტრის ჰულუსი აკარის ვიზიტი ყაზახეთსა და უზბეკეთში. მან წარადგინა თავდაცვის ერთიანი სისტემის გეგმა სახელწოდებით „თურანი“. თუ ამ ფაქტს დავამატებთ ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთის აქტიურ მონაწილეობას და უკვე შემდგარ თურქულ-აზერბაიჯანულ სამხედრო ალიანსს, გასაგები გახდება, რომ პანთურქიზმის იდეამ განხორციელება დაიწყო!



**ᲔᲥᲕᲡᲗᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲗᲣᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲒᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ. ᲘᲒᲘ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ, ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲥ ᲡᲮᲕᲐ ᲖᲔᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲐᲠᲨᲔᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲨᲘ ᲯᲓᲔᲑᲐ 24-25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲕᲚᲣᲓ ᲩᲐᲕᲣᲨᲝᲚᲚᲣᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲪ. ᲛᲐᲗᲨᲘ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲡ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲣᲜᲐᲙᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲘᲒᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲡ.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ნიშნავს, რომ თურქეთს არ მოსწონს რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებად ცალმხრივი გამოცხადება. იმავდროულად, საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის დეკლარირება დღევანდელი თურქული ხელისუფლებისგან ანტიამერიკული ქვეტექსტის მქონე განცხადებად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით ბოლო დროს განვითარებულ მოვლენათა ფონზე. თურქეთი ახდენს იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ იგი მზადაა საქართველოში (და კავკასიაში) დამოუკიდებელი პოლიტიკის გასატარებლად და არ აპირებს დიდ სახელმწიფოებთან გარიგებას საქართველოს ინტერესების ხარჯზე (როგორც ეს მოხდა 1921 წელს, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა ფაქტობრივად გაიყვეს საქართველო, მისი ტერიტორიები კი მიერთეს). ყოველივე ეს ნიშნავს, რომ თურქეთი მზად არის, გაუფრთხილდეს საქართველოს სუვერენიტეტს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩვენი ქვეყანა არ შეუშლის ხელს მეზობელი სახელმწიფოების (კონკრეტულად თურქეთის) პროექტების განხორციელებას. ამასთან, თურქეთს სურს, გვიჩვენოს, რომ მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲨᲔᲫᲛᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ: ᲠᲝ�გᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ? ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ Უ�გᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲐ?

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲖᲔᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲔᲑᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲐ ᲕᲔᲠ ᲔᲒᲣᲔᲑᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲡ (ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲡ ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐᲛ ᲣᲬᲝᲓᲐ) ᲓᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲠᲝᲚᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ. ᲗᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲞᲝᲚᲐᲠᲣᲚᲘ (ᲐᲨᲨ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ), ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲐᲠᲣᲚᲘ (ᲐᲨᲨ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘ), ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡᲔᲪ ᲐᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ. ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲛ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲛᲐ �თᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔ�თᲐ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ (ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ) ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲐᲓ. ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲛ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ (ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ) ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲠᲘᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲛ ᲒᲐᲐᲑᲔᲓᲘᲜᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡ, ᲬᲐᲛᲝᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲥᲕᲡᲗᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ. ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ. ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲚᲐᲮᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲔᲬ. ᲞᲠᲝᲫᲚᲘ-ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ: ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ, ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲨᲘ. ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲗᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲞᲐᲜᲗᲣᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲓ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ.

ამიტომ, პანთურქული იდეის ხორცშესხმის თვალსაზრისით, რეჯეპ ერდოღანის პლატფორმა მართლაც გამოსადეგია. სადღეისოდ რუსეთი ჯერჯერობით სერიოზულ როლს თამაშობს კავკასიაში (და ახლო აღმოსავლეთში). ამიტომაც მისი მოწვევა პროექტის მნიშვნელოვან აქტორად, საჭიროც არის და ბუნებრივიც. მითუმეტეს, რომ ვლადიმერ პუტინის ხელისუფლება მკვეთრად ანტიდასავლურად არის განწყობილი და, მაშასადამე, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კავკასიაში დემოკრატიული სამყაროს გავლენის შესასუსტებლად, რაც პანთურქული პროექტის ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ᲘᲮ. 8 ᲒᲕ.

№ 51-52. პარასკევი-კვირა, 12-14 მარტი, 2021 წელი.

ნინო ჩხობაძე:

„რაო, რაო – 80 ჰესი კიდევ უნდა ავაშენოთო?!

„აძ არიან ადამიანები, რომლებსაც რეალურად ადარდებთ ხეობის ბედი და დავინახეთ, რომ მათი პროტესტი გულწრფელია“, – ეს განცხადება ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ** „რიონის ხეობის მცველებთან“ შეხვედრისას გააკეთა, რომლებიც „ნამახვანჰესის“ მშენებლობას აპროტესტებენ. მათთან კარვებში შეხვედრის გადაწყვეტილება ნათია თურნავამ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** ცაგერში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს. მინისტრები მიიჩნევენ, რომ „ნამახვანჰესის“ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაცია უნდა გაიზარდოს.

„ნამახვანჰესის“ მშენებლობას ადგილობრივები, არასამთავრობოები და პოლიტიკოსები დიდი ხანია, აპროტესტებენ. ისინი ოთხ თვეზე მეტია, უწყვეტ საპროტესტო აქციას მართავენ. მათ სამშენებლო სამუშაოების სიახლოვეს კარვების ქალაქიც მოაწყვეს. ადგილობრივების თქმით, ადგილი, სადაც ჰესი შენდება, სეისმურად აქტიური ზონაა და აქ სამშენებლო სამუშაოების წარმოება არ შეიძლება.

პრემიერის თქმით კი, წლიდან წლამდე იზრდება იმპორტირებული ელექტროენერგია. ეს რომ ავიცილოთ, ყოველ წელს, მინიმუმ, საშუალოდ ასი მეგავატის სიმძლავრის ჰესი უნდა შენდებოდეს ქვეყანაში, რაც ამ ეტაპზე არ ხდება.

„საქართველოს მწვანეები – დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** აცხადებს, რომ მთელი მსოფლიო დღეს 21-ე საუკუნეშია და ელექტროენერგიის თანამედროვე მიდგომებზე საუბრობს, ჩვენ კი მე-20 საუკუნის დასაწყისში ვიმყოფებით და ისევ დიდ ჰესებზე ვლაპარაკობთ.

„ვერ გეტყვით, რამდენად მიზანშეწონილია ნამახვანჰესის აშენება, მოდით, ვთქვათ ასე, ჯერ პირველი ეტაპი გადავლახოთ, დიალოგზე წამოვიდნენ, რადგან მარტო მოსახლეობასთან, რიონის ხეობის მცველებთან საუბარი არ არის საკმარისი. უნდა დავსხდეთ სპეციალისტები და ვისაუბროთ ხელშეკრულებასა და პირობებზე, თუ რა პირობებით აშენებენ ამ ჰესს. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე მთავარია უსაფრთხოება. თუკი უსაფრთხოების საკითხები ვერ გვარდება, მაშინ ჰესი არ უნდა აშენდეს. აქ გამომუშავებული ელექტროენერგია მოხმარდება თუ არა საქართველოს და ენერგოდამოუკიდებლები გავხდებით თუ არა, ამ საკითხსაც ღრმა ექსპერტიზა სჭირდება, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერტები სხვადასხვა დასკვნას აკეთებენ, მინდა შევჯერდეთ, ბოლოს და ბოლოს, რას გვაძლევს ეს ჰიდროელექტროსადგური“, – აცხადებს ნინო ჩხობაძე.

მისივე განმარტებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირველი შეხედულებით ირკვევა, რომ ეს ჰიდროელექტროსადგური თითქოს ბევრს არაფერს გვაძლევს. ამის მიუხედავად, მაინც საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება. საამისოდ უნდა დასხდნენ ეკონომისტები, ენერგეტიკოსები, ყველამ ერთად უნდა ისაუბროს ამაზე, უნდა არსებობდეს ენერგეტიკული სტრატეგია, რა გვინდა, რა – არა. ბოლოს და ბოლოს, რამდენი ჰესი გვინდა, ეს უნდა ვიცოდეთ, თორემ ერთმა დეპუტატმა საერთოდ გამოაცხადა, 80 ჰესი კიდევ უნდა ავაშენოთო!!!

„სად აშენებენ ამ ჰესებს, მართლა მაინტერესებს. ამდენი მდინარე კი გვაქვს, მაგრამ ამდენი წყალი არ არის და რა სიმძლავრის ჰესებზეა საუბარი?! მთელ მსოფლიოში დიდი ჰესების ჩანაცვლებას ცდილობენ თანამედროვე საშუალებებით. მთელი მსოფლიო 21-ე საუკუნეშია და ჩვენ, მე მგონი, მე-20 საუკუნის დასაწყისში ვართ, რადგან ისევ ვლაპარაკობთ, რომ უნდა ავაშენოთ ბევრი და დიდი ჰესები, როცა მსოფლიო ზოგადად ლაპარაკობს თანამედროვე მიდგომებზე. მაგალითად, ევროპის მიდგომა დღეს არსებული ჰიდროელექტროსადგურების გადაიარაღებაა, ანუ უნდა მოახდინონ მათი ისეთი რეაბილიტაცია, რომ მათ შეეძლოთ უფრო მეტი გენერაციის მოცემა. აგრეთვე, ლაპარაკობენ ზოგიერთი ჰესის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაზე, შერეული კომპლექსების გაკეთებაზე, მზის, წყლის, ქარის ენერგიის გამოყენებაზე, რათა უფრო ეფექტური გახდეს ეს ჰესები“, – აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

მანვე დააკონკრეტა, რომ სწორედ თანამედროვე მიდგომებშია ერთ-ერთი გამოსავალი საქართველოსთვის, რადგან იქ, სადაც ჰესი აშენებულია, თავისთავად გარემოს ზიანი უკვე მიყენებული აქვს და, შესაბამისად, გარემო სახეცვლილია. ამიტომ, სანამ ახალ ხეობაზე გადავალთ, მანამ იქნებ სჯობდეს, მივხედოთ ძველ ჰესებს.

მანანა ნოზაძე

სახელმწიფო ელექტროსისტემა:

მზისა და ქარის ელექტროსადგურების ძალიან დიდი სიმძლავრეების ინტეგრაციის შემთხვევაში, თუ სისტემაში არ იქნება საკმარისი რეზერვებისა და ინერციის წყაროები, გაიზრდება ავარიების რაოდენობა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა – მზისა და ქარის ელექტროსადგურების ძალიან დიდი სიმძლავრეების ინტეგრაციის შემთხვევაში, თუ სისტემაში არ იქნება საკმარისი რეზერვებისა და ინერციის წყაროები, გაიზრდება ავარიების რაოდენობა და მომხმარებლების შეზღუდვის რისკი, – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა „ნამახვანჰესის“ საკითხთან დაკავშირებით ბექა ნაცვლიშვილის სტატიას ეხმაურება, სადაც „ნამახვანჰესის“ ალტერნატივის საკითხზე არის საუბარი.

„მართალია, ზოგადად, ქარისა და მზის გენერაცია წლისა და თვეების ჭრილში უფრო თანაბარია, ვიდრე წყალსაცავების, მაგრამ მათ გენერაცია დღის, საათის, წუთების მონაკვეთებში მკვეთრად ცვალებადია. ამიტომ მოხმარება-მიწოდების ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სწრაფმოქმედი რეზერვების არსებობა. გარდა ამისა, ქარის და მზის სადგურებს არ გააჩნიათ „ინერცია“, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული სისტემის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს ავარიებს. შესაბამისად, მზისა და ქარის ელექტროსადგურების ძალიან დიდი სიმძლავრეების ინტეგრაციის შემთხვევაში, თუ სისტემაში არ იქნება საკმარისი რეზერვების და ინერციის წყაროები, გაიზრდება ავარიების რაოდენობა და მომხმარებლების შეზღუდვის რისკი. ამიტომ ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს წყალსაცავიანი ჰესების და მზისა და ქარის ელექტროსადგურების ჰარმონიული განვითარება.

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მე-18 თავში მოცემული გერმანული კომპანია DIGSILENT-ის კვლევის შედეგებით საქართველოს ენერგოსისტემაში განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციის შესახებ, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია ენერგოსისტემის მოქნილობა, საკმარისი სიმძლავრის პირველადი, მეორეული და მესამეული რეზერვების არსებობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დიდი რეზერვუარის მქონე ჰიდროსადგურების ან/და ჰიდრომააკუმულირებელი სადგურების არსებობით. ასევე აუცილებელია, რომ სისტემას ჰქონდეს საკმარისი ინერცია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ დაშვებებს, რომელიც მოცემულია ათწლიან გეგმაში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას განახლებადი ელექტროსადგურების ინტეგრირების შესაძლებლობის კვლევისთვის:

- **1850 მგვტ გ.ე.წ. სადგურების ინტეგრირების პოტენციალი: 520 მგვტ მზის სადგურები; 1330 მგვტ ქარის სადგურები; მოხმარების წლიური ზრდა 5-6%.**
- **2020 წლიდან: გათვალისწინებულია საბალანსო ბაზრის არსებობა; მოხმარების, გ.ე.წ. და მოდინების სადგურების პროგნოზირების სისტემის არსებობა გათვალისწინებულია.**
- **2025 წელი: ყველა დაგეგმილი ჰესი შედის ექსპლუატაციაში გარდა ხუდონჰესის და ცხენისწყლის კასკადის.**
- **2030 წელი: ყველა დაგეგმილი ჰესი შედის ექსპლუატაციაში. აქ „ყველა დაგეგმილ ჰესში“ იგულისხმება ათწლიან გეგმაში გათვალისწინებული ჰესები, მათ შორის ნამახვანის კასკადი 433 მგვტ; ნენსკრა 280 მგვტ – მუშაობაში შედის 2025 წელს, ხოლო ხუდონჰესი 700 მგვტ და ცხენისწყლის კასკადი 350 მგვტ 2030 წელს.**

განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია წყალსაცავიანი ჰესების სისტემაში ინტეგრირება, რაც გათვალისწინებული არის განახლებადი ენერგიის წყაროების კვლევაში. გაუგებარია, რას ეფუძნება ბექა ნაცვლიშვილის ვარაუდი, რომ დღეისთვის შესაძლებელია 500 მგვტ-მდე ქარის ინტეგრაცია“...



<u>დავით მირცხულავა:</u> მსოფლიოს ისტორიას ბეტონის გრავიტაციული კაშხლის ჩამონგრევა არ ახსოვს

რადიო „კომერსანტის“ ერთ-ერთ გადაცემაში ენერგეტიკის ექსმინისტრმა დავით მირცხულავამ ნამახვანჰესის მნიშვნელობაზე და ჰესების მშენებლობაში სახელმწიფოს ჩართულობაზე ისაუბრა.

„ჰესების სამშენებლო რისკებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში მუდმივად ვრცელდებოდა აპოკალიფსური პროგნოზები იმის შესახებ, რომ თითქოს 34-მეტრიანი ტალღა წარმოიქმნება და მთელ იმერეთს, სამეგრელოს და ქუთაისს დატბორავს, ამ საკითხზე შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოსახლეობა ვიღაცამ დააშინა. მინდა გითხრათ, რომ საუბარია ნამახვანის 100 მეტრიან კაშხალზე, მსგავსი ტიპის კაშხლები 1963 წლის მერე არსად დანგრეულა, რაც ტექნიკური გადაწყვეტილებების და საინჟინრო დარგის პროგრესის დამსახურებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობა უნდა შევარბილოთ“.

მისი განცხადებით სახელმწიფოს, როგორც ენერგეტიკულ, ასევე სამშენებლო ნაწილში საზედამხედველო ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც შეეხება გარემოსდაცვით რისკებს, მირცხულავას განმარტებით სახელმწიფომ ინვესტორს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი უნდა დაავალოს.

„სეისმურ რისკებთან დაკავშირებით მუდმივად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა მიწისძვრამ ჰესების ჩამონგრევა გამოიწვიოს, მსოფლიოს ისტორიას ბეტონის გრავიტაციული კაშხლის ჩამონგრევა არ ახსოვს. აქ არ არის საუბარი ჩვენთან მომხდარ მიწისძვრაზე, საუბარი მაქვს იაპონიაში და ჩინეთში 9-ბალიან მიწისძვრებზე.

თავის დროზე მე ვიყავი იმ ინსპექტირების ჯგუფის წევრი, რომელმაც რაჭის ეპიცენტრთან განლაგებულ ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობაზე ინსპექტირება მოახდინა, ეს არის შაორის გრუნტის მასალის კაშხალი, ასევე ლაჯანური, გუმათჰესი და ა.შ. არსად ამ ტიპის კაშხლებზე მიწისძვრისგან დაზიანების ფაქტები ვერ აღმოვაჩინეთ“, – აღნიშნა დავით მირცხულავამ.

მირცხულავამ მოლაპარაკებების ნაწილზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ეს მოლაპარაკებები გარკვეულ ეტაპზე ძალიან წარმატებული იყო, რადგან 258-მა ოჯახმა 30 მილიონი ლარი მიიღო. მისივე განმარტებით, გარკვეული პერიოდი ამ თემასთან დაკავშირებით ხმაური არ ყოფილა. მირცხულავამ ასევე აღნიშნა, რომ, როდესაც ასეთი დიდი პროექტი ხორციელდება, სახელმწიფო მოლაპარაკებებში გარკვეული დოზით უნდა მონაწილეობდეს, რადგან სახელმწიფო ყველა ხელშეკრულების და კანონიერების გარანტი უნდა იყოს. მირცხულავას განმარტებით, მსოფლიოში მსგავსი ჰიდრონაგებობების ინტენსიური ჰიდროტექნიკური მშენებლობა მიმდინარეობს და, მაგალითად, ავსტრიაში და შვეიცარიაში რომელებიც დაახლოებით საქართველოს ზომისაა, უამრავი კაშხალი და წყალსაცავი აქვთ მოწყობილი.

„ჩვენთან ასეთ პროგრესზე საუბარი არც არის, უბრალოდ სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებს და ინვესტორებს შორის მედიატორის როლი უნდა ითამაშოს“, – აღნიშნა დავით მირცხულავამ.



დიდგორის 900 წლისთავზე დავით აღმაშენებელი დედაქალაქის გულში უნდა შემობრძანდეს!

ქ. თბილისის მერიას და საკრებულოს

დავით აღმაშენებლის ძეგლი რუსთაველის და რესპუბლიკის („ივერიის“) მოედნების გასაყართან. ავტორები: მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ დავითაია

2021 წლის 12 აგვისტოს სრულდება დიდგორის ომის 900 წლისთავი, რომელიც საქართველოს მთავრობამ და ხალხმა ღირსეულად უნდა აღნიშნოს.

ჩვენ, ამ წერილის ხელის მომწერნი, 9 წლის განმავლობაში პრესით, ტელევიზიით, სოციალური ქსელებით, პირადი შეხვედრებით ვთხოვდით თბილისის საკრებულოს და მერიას დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღმის სატრანსპორტო და არქიტექტურულ-ურბანული ქაოსიდან პირვანდელ არეალში დაბრუნებას.

სამწუხაროდ, ცარიელი დაპირებები დაპირებად დარჩა! ძეგლის გადმოტანის ცხრაწლიანი დაგვიანება აბსოლუტურად გაუგებარია!

არსებობს ძეგლის ახალ ადგილზე დადგმის პროექტი, შესრულებული ძეგლის ავტორის, ლეგენდარული მერაბ ბერძენიშვილის და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას მიერ, რომელიც საყოველთაოდ მოწონებულია!

მიუხედავად დროის უკიდურესი დეფიციტისა (12 აგვისტომდე 150 დღე რჩება), ჯერ კიდევ არსებობს შესაძლებლობა მონუმენტის „ივერიის“ მოედანზე დაბრუნებისა, თუკი იქნება თბილისის მერიისა და საკრებულოს ჯეროვანი დაინტერესება და თანადგომა.

ბატონო კახა!
ბატონო გიორგი!

იმედს ვიტოვებთ, თბილისელები შეძლებენ „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედის და 900 წლის წინათ საქართველოსთვის დედაქალაქის დამბრუნებლისა და ამღორძინებლის მონუმენტის თბილისის გულში პატივგებას და თაიგულებით შემკობას.

იქნებ ახლა მაინც ჩამოვირეცხოთ ის სირცხვილი, რაც უგუნურმა და უვიცმა ნაცების ბელადმა დიდ მეფეს და მისი ძეგლის შემქმნელ „ქართველ მიქელანჯელოს“ – მერაბ ბერძენიშვილს მიაყენეს!!!

ღრმა პატივისცემით და გადაწყვეტილების მიღების იმედით:

როინ მეტრეველი, ანზორ ერქომაიშვილი, თამაზ შილაკაძე, ვაჟა აზარაშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, ვალერი ასათიანი, გოგი თორაძე, გიგა ბათიაშვილი, თამაზ დოგრაშვილი, იოსებ ჭუმბურიძე, ემზარ კვიტაიშვილი, რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, თემო გოცაძე, გია ჯაფარიძე, გივი თოიძე, ავთანდილ მჭედლიშვილი, გურამ გედეხაური, სპარტაკ ძობულია.

ამ ვიწრო ქუჩებში კომუნიზმი ვერ შემოეტია, მაგრამ უთვალავი ლურჯი და მწვანე ავტობუსი ვითომ დაეტევა?!

კალაძის ინიციატივა მიკროავტობუსის მგზავრისა და მძღოლისთვის ხელსაყრელია!

ახალი, ლურჯი მიკროავტობუსებით მგზავრობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტეგრირებულ ქსელში 1 აპრილიდან ჩაერთვება, 80 თეთრის ნაცვლად, 50 თეთრი ეღირება. აღნიშნულს „საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით დედაქალაქის მთავრობის 2021-2023 წლების სამუშაო პროგრამა“ ითვალისწინებს. გადახდის ინტეგრირებული სქემა კომპანია „სისტრამ“ მოამზადა და გულისხმობს, რომ ერთხელ აღებული ბილეთით მგზავრს საათ-ნახევრის განმავლობაში შეეძლება მეტროთი, ავტობუსით და მიკროავტობუსით მგზავრობა. პირველი აპრილიდან ინტეგრირებულ სისტემაში 300 ლურჯი მიკროავტობუსი ჩაერთვება, თუმცა, მომდევნო ეტაპზე მიკროავტობუსების რაოდენობა გაიზრდება.



დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სასაუბროდ „პროგრესნიუსი“ მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარეს ნიკოლოზ კაჭკაჭურს დაუკავშირდა.

– დავიწყოთ იმით, რომ თბილისის მიკროავტობუსმა ნაწილობრივ შეითავსა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქცია და ერთიანი გადახდის სისტემაში ჩაერთო, რაც ჩვენი მოქალაქეებისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა. გარდა იმისა, რომ ახალი მიკროავტობუსებით მგზავრობა 80-ის ნაცვლად, 50 თეთრი ეღირება, ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ერთი გადახდით იმგზავრონ მეტროთი, ავტობუსით და მიკროავტობუსით, რაც რა თქმა, დიდი შეღავათია. რაც შეეხება ყვითელ მიკროავტობუსებს, მისი პარკი დიდი ხანია მოძველდა და განახლებას საჭიროებდა. მანქანებს დიდი ხანია ექსპლუატაციის ვადა ამოწურათ, დაძველდნენ და ტექნიკურ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებენ. ოპერატორმა კომპანიამ უკვე შეიძინა 300 მიკროავტობუსი, როგორც ვიცი, 1000 მიკროავტობუსამდე ავლენ და სრულად მოხდება მოძველებული ყვითელი მიკროავტობუსების პარკის განახლება.

– როგორც მძღოლთა უფლებების დამცველი, როგორ ფიქრობთ, მათთვის რამდენად ხელსაყრელია ახალ მიკროავტობუსებზე მუშაობა?

– ახალი მიკროავტობუსები როგორც მგზავრისთვის, ასევე მძღოლისთვისაც დიდი საჩუქარია. დიზელის ძრავაზე მომუშავე, ევრო 5 ემისიის, ეკოლოგიურად სუფთა მიკროავტობუსები 17 მგზავრზეა გათვლილი. ყველა სავარძელზე დამონტაჟებულია სამწერტილოვანი უსაფრთხოების ღვედები, მძღოლისა და წინა სავარძელზე მჯდომი მგზავრისთვის კი უსაფრთხოების ბალიშებია განთავსებული. ფანჯრები ელექტრონულად იღება და მიკროავტობუსები აღჭურვილია თბილისის კლიმატის შესაბამისი გათბობა-კონდიცირების სისტემებით. რა თქმა უნდა, ასეთ კომფორტულ მიკროავტობუსზე მუშაობა ყველა მძღოლისთვის ხელსაყრელია. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ახალ მიკროავტობუსებში მგზავრობის საფასურის გადახდა მხოლოდ სატრანსპორტო ბარათითაა შესაძლებელი. მძღოლები მიიღებენ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომელიც არ იქნება დამოკიდებული გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე. თუ არ ვცდები, ანაზღაურება დღეში 70 ლარს შეადგენს. 10 მგზავრს გადაიყვანს თუ 100 მგზავრს, ხელფასს მაინც ერთნაირად მიიღებს. შესაბამისად, მძღოლის მიზანი არა მეტი მგზავრის აყვანა, არამედ უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველყოფა იქნება.

მძღოლი გამომუშავებაზე აღარაა, გეგმა აღარ შეაქვს, საწვავს აღარ ასხამს, მანქანის ამორტიზაციის თანხას აღარ იხდის, მოიხსნა საბარათე სისტემით გამოწვეული პრობლემები იმიტომ, რომ მძღოლს მხოლოდ მგზავრების გადაყვანა ევალება. ამასთან შედარებით, ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლებს უამრავი პრობლემა აქვთ. დღევანდელი მონაცემებით, სახლში შეიძლება 10 ლარიც ვერ წაიღონ, იმიტომ, რომ პანდემიის გამო, მგზავრთა ნაკადი ძალიან შემცირდა. ვისაც მგზავრობა სჭირდებოდა, იმ ხალხის 80%-მა საკუთარი ავტომობილი შეიძინა და თავისი ტრანსპორტით გადაადგილდება. მიკროავტობუსების ნაწილებზე ფასი გაიზარდა და ფაქტობრივად, შემოსავლის გარეშე დარჩენილი მძღოლი შეცვლას ვეღარ ახერხებს. ახალ მანქანებზე ასეთი პრობლემები აღარ იქნება. გაფუჭდა მანქანა? ავტოფარეხი ვალდებულია, რომ წაიყვანოს მანქანა და შეაკეთოს. მძღოლი გეგმის შესრულებისთვის წელში რომ წყდებოდა და სახლში ვერაფერი მიჰქონდა, ამ ახალ მანქანებზე გეგმა აღარ აქვს. დღის განმავლობაში რამდენიც შევა, იმდენს შეიტანს. სხვათა შორის, აღარც კონდიცირების პრობლემა იქნება, რადგან საწვავი მძღოლის ჯიბეზე მიბმული აღარაა. შესაბამისად, მგზავრებს აღარ დასჭირდებათ გაგრილების სისტემის ჩართვის მოთხოვნა.

– პირდაპირ გკითხავთ, ზოგი მიკროავტობუსის მძღოლი „პირადი გრაფიკით“ რომ მუშაობდა და მგზავრებს განსაკუთრებით, საღამოს საათებში ტრანსპორტის საათობით ლოდინი უწევდათ, ამ მიმართულებით რამე თუ შეიცვლება?

– რა თქმა უნდა. ისე არ არის, რომ მძღოლმა მანქანა სადღაც მიაყენოს და დაიძინოს. მგზავრების რაოდენობა და გრაფიკიდან გადაცდომა GPS და მგზავრთა მთვლელი სპეციალური სისტემებით გაკონტროლდება – გავიდა თუ არა დროულად, სად გაჩერდა და ა.შ. ისე აღარ იქნება, ზოგი მძღოლი როცა უნდოდა, სახლში რომ მიდიოდა და მგზავრებს ტრანსპორტის გარეშე ტოვებდა. მგზავრი ეყოლება თუ არ ეყოლება, მანქანამ უნდა იმუშაოს. რომელ საათზეც იქნება დადგენილი ავტოფარეხში წასვლა, იმ დროს უნდა წავიდეს. ასე, რომ ახალი მიკროავტობუსები მგზავრისთვისაც და მძღოლისთვისაც ხელსაყრელია. ჯერჯერობით, ახალი მანქანები გარეუბნის მარშრუტებზე მოძრაობენ, მაგრამ მარტის ბოლოსთვის მთლიანად ჩანაცვლება იგეგმება. უახლოეს ხანებში ჩვენი მოქალაქეები იმგზავრებენ უსაფრთხო, კომფორტული და ხელმისაწვდომი ტრანსპორტით და ისარგებლებენ შეღავათიანი გადახდით. ამაზე უკეთესი სიახლე რა უნდა იყოს?

ახალი მიკროავტობუსები მასშტაბური სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტია. რამდენად გააუმჯობესებს მგზავრობის ხარისხს აღნიშნული რეფორმა – ამას დრო გვიჩვენებს.

№ 51-52. პარასკევი-კვირა, 12-14 მარტი, 2021 წელი.

გამოიყენებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი გიორგი გახარიას ავაზაკთა ბრბოს დასამთავრებლად?!

მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გადამდგარი გიორგი გახარიას ფოტომ უამრავი ადამიანის მოწონება დაიმსახურა, კიდევ უფრო გამყარდა ეჭვი, რომ ასეთი „ლაიქების“ შემდეგ პოლიტიკიდან ასე მარტივად არ მიდიან და, თუ გავითვალისწინებთ გიორგი გახარიას ისტორიულ სიტყვებს, „კი არ მივდივარ, მოვდივარო“, შეიძლება, გარკვეული დაშვებით, პრემიერობიდან წასვლაც პოლიტიკაში მისი მობრუნების საწინდარი გახდეს.

ჩამოყალიბდება თუ არა გიორგი გახარიასგან მესამე ძალა და რას უნდა ნიშნავდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ერთხელ უკვე ნათქვამი სიტყვები, რომ გადგება გვერდზე და თავად შეუწყობს ხელს ოპოზიციის ჩამოყალიბებას?

ამაზე შეიძლება ვერსიების დონეზე ვიმსჯელოთ. არც ისე მწირია გიორგი გახარიას შესაძლებლობები თუნდაც პარლამენტში საკუთარი მომხრეების მოძიების კუთხით, რადგან სამეგრელოს რეგიონიდან გასული დეპუტატები სწორედ გახარიას რეკომენდაციით მოხვდნენ „ქართული ოცნების“ სიაში, ეს ხალხი კი გახარიას პარტიაში სიამოვნებით გადაბარგდება. შესაძლოა, მაია ცქიტიშვილიც აღმოჩნდეს მის გვერდით, რომელმაც „ოჯახში დაბრუნება ისურვა“ გიორგი გახარიას წასვლის შემდეგ.

ცალკეული ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ გახარიას წასვლა და სამომავლოდ მისი მოსვლა სწორედ ბიძინა ივანიშვილის ჩაფიქრებული გეგმის ნაწილი იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ გახარია დამოუკიდებლად არც გადამდგარა თანამდებობიდან.

უკვე კეთდება პროგნოზი, რა ტიპის მესამე ძალას შეუძლია ჩაუდგეს სათავეში გიორგი გახარია. წინასწარი მოლოდინით, ეს არ იქნება აგრესიული ძალა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უარყოფითად მიუბრუნდება. სავარაუდოდ, გახარიას სტილი არ იქნება „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ კარვებით და ბოქლომებით სირბილი, პირიქით, ის რადიკალურ ოპოზიციას დაუპირისპირდება, რომელთა მისამართითაც ოდესღაც დაიბარა: **„მე თქვენ დაგასრულებთ“!**

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიესალმება, თუკი გიორგი გახარია მესამე ძალას ჩამოაყალიბებს. მისი აზრით, გახარიას საკმაო ავტორიტეტი აქვს, მას მხარდამჭერებიც ჰყავს, თუმცა მას პოლიტიკური პლატფორმა ჯერჯერობით არ გააჩნია, არც პარტია აქვს და არც რაიმე ორგანიზებული ჯგუფი ჰყავს ამ მოწვევის პარლამენტში. ამდენად, თუკი გახარია მოახერხებს მესამე ძალად ჩამოყალიბებას, გინდ ბიძინა ივანიშვილი დაეხმაროს მას, გინდ სხვა ვინმე, დავით ზარდიაშვილისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

„მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რთულ დროში გადადგა პრემიერობიდან და ამ კონკრეტულ საკითხში მის პოზიციას არ ვიზიარებ, გიორგი გახარიას მიმართ პატივისცემა არ დამიკარგავს, რადგან ის იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღირსეული პრემიერ-მინისტრი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში. უბრალოდ, მან ვერ იტვირთა ის პასუხისმგებლობა, რაც დაკავშირებული იყო მელიას ინციდენტის დასრულებასთან და გადადგა. მე არ მიმაჩნია გიორგი გახარია არც მიუღებელ ფიგურად და არც საქართველოსთვის გამოუსადეგარ ადამიანად. არც ის მგონია, თუკი ივანიშვილი მისგან მესამე ძალას შექმნის, ეს ხელოვნური მესამე ძალა იქნება, რადგან გახარიას საკუთარი მხარდამჭერები ჰყავს“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისივე განმარტებით, საშურიცაა, თუკი გიორგი გახარია ამგვარ „ოპოზიციას“ ჩაანაცვლებს, ეს იქნება იდეალური შემთხვევა, რადგან ნაცების მაგივრად გიორგი გახარია მოგვევლინება ოპოზიციად. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტიც კონსტრუქციული იქნება, სადაც საქმიან დავას ვიხილავთ, ეს აღარ იქნება ერთმანეთის დაჭმა პოლიტიკურად. ცხადია, პოლიტიკაში პატიოსანი კონკურენცია იარსებებს, მაგრამ ეს კონკურენცია პარტნიორობას დაეფუძნება.

რაც შეეხება საკითხს, ასეთი ფინალის შემთხვევაში, ხომ არ გაჩნდება ეჭვი, ბიძინა ივანიშვილმა ხომ არ გადააყენებინა საკუთარი თავი გიორგი გახარიას, დავით ზარდიაშვილი გვპასუხობს, რომ ოღონდ შეიქმნას ოპოზიცია და, რაც უნდათ, ის იფიქრონ.

„როგორც ჩანს, ოპოზიციაც ბიძინას შეესაქმნელი იქნება. რასაც ვუყურებ, ამას ოპოზიცია არ ჰქვია, ამას ჰქვია ავაზაკთა ბრბო“, – მიიჩნევს ანალიტიკოსი.

* * *

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** ფიქრობს, რომ ივანიშვილის შეცდომა იქნება, თუკი ის გახარიასგან შექმნის მესამე ძალას.

„არა მგონია, ეს სწორი იყოს, რადგან გიორგი გახარია ისეთ დროს გადადგა პრემიერობიდან და ისეთ დროს მიუშვა წყალი ანტისახელმწიფოებრივ ძალაზე, არა ოპოზიციაზე, არამედ ვიმეორებ, ანტისახელმწიფოებრივ ძალაზე, როცა ისინი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში იყვნენ ჩაფლულნი. ამდენად, თუ ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ძალისკენ გადამხრელი პიროვნებისგან ივანიშვილი შექმნის ოპოზიციურ ძალას, ეს გახარია იქნება, თუ ვინც გინდა იყოს, ეს სიკეთეს ქვეყანას ვერ მოუტანს. არა მგონია, ახლა ბიძინა ივანიშვილი ამას უნდა აკეთებდეს. თუ აკეთებს, ეს ძალიან დიდი შეცდომაა“, – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

მისივე თქმით, სულ სხვა მოტივით რომ გადამდგარიყო გახარია და მისგან შეექმნათ მესამე ძალა, ეს იდეალური იქნებოდა, რადგან მას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ მომენტში გადადგა, რომ პირდაპირ ანტისახელმწიფოებრიობას დაუჭირა მხარი და სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება მოახდინა. ამდენად, ნანა კაკაბაძე არ მალავს, რომ არანაკლებ დაუპირისპირდება ასეთ ოპოზიციას, როგორც ნაციონალებს უპირისპირდება..

მანანა ნოზაძე

ლადო კახაძე: მელიას გასაღები ხელში უჭირავს, გადაატრიალოს და გამოვიდეს გარეთ...

„ეუთო-ოდირის ბოლო დასკვნამ ყველაფერი თავის ადგილას დასვა. 4 თვის შემდეგ, როდესაც ყველა საფეხური გაიარა, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე ერთმნიშვნელოვნად გამოითქვა შეფასება: ეს იყო უნარიანი და გამჭვირვალე. შესაბამისად, ეს იყო ვერდიქტი“, – ამის შესახებ For.ge-ს ექიმმა და „ქართული ოცნების“ წევრმა **ლადო კახაძემ** განუცხადა.



მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ საუბარია, სამი დღის წინ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ საქართველოში 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიშზე.

– ბატონო ლადო, ეს დასკვნა საქართველოს რას ეუბნება?

– ამით საქართველოს კიდევ ერთხელ უთხრეს, რომ „თქვენ მოდიხართ ევროატლანტიკური სივრცისკენ“, იქვე აღინიშნა, რომ „ეს არის საზოგადოების არჩევანი სოციუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რომელიც თავისი მახასიათებლებით ხასიათდება, თუმცა, აქვე ამბობს, რომ არსებობს ისეთი ხარვეზები, რომლის გამოსწორება თქვენ ხელგეწიფებათ.

– ევროპის საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ინიციატივით, 1 მარტს ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრა შედგა. მომზადდა 6-პუნქტიანი დოკუმენტი, სადაც შეტანილია პოლიტიპატიმრების საკითხიც. რას ფიქრობთ, ნიკა მელია საქმეზე?

– მე, საერთოდ, ციხის მოწინააღმდეგეთა რიგებში ვითვლები. ციხე არის თავისუფლების აღკვეთის ის რგოლი, რომელიც ორი კატეგორიის ადამიანებს უნდა ეკუთვნოდეს: პირველი – სისხლის სამართლის ისეთი დანაშაული, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას და მის ჯანმრთელობას ეხება. მეორე – ისეთი სახელმწიფო საიდუმლოს გაცემას, რომელსაც ადამიანების მასობრივი გენოციდი მოჰყვება. ეს ორი უნდა იყოს მკაცრად დასჯილი და უვადოც შეიძლება, მათ შორის ნარკოტიკების გამსაღებელიც. თუმცა, ნიკა მელიას აწყობს იქ, თვითიზოლაციაში ყოფნა, რა მიზეზით, ეს მას ჰკითხეთ.

მელიას შეეძლო იქ საერთოდ არ მოხვედრილიყო. დღესაც ხელში უჭირავს გასაღები. პროკურატურის განცხადებას ვეფუძნები, რომელმაც თქვა, რომ ნიკა მელიას დაჭერა თვითმიზანი არ არის. მან კონსტიტუციური ნორმა დაარღვია და ამის საზღაური უნდა გადაიხადოს. ყველა პირობა ღირსების შეუალაბავად შენარჩუნებულია და უმაღლეს დონეზე მოვლილ-ნაპატრონება. გადაატრიალოს გასაღები და გამოვიდეს გარეთ. თუმცა, არ აწყობთ მშვიდობიანი თანაცხოვრება, მათ უნდათ ყველანაირ წერტილში ცეცხლი დაანთონ. პოლიტიკური ბრძოლა ეს ყოფილა თურმე. მათ აქვთ ამის უფლება, მოიგონონ, ვირტუალური სამყარო შექმნან, მოდიფიკაცია გააკეთონ.

ყველაფერი ეს თურმე პოლიტიკური ბრძოლის ხერხი ყოფილა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამას არავინ იჯერებს. მათი 27%-იანი რეიტინგი 5%-ზე ჩამოვიდა მათივე კვლევების საფუძველზე. ანუ ისინი თავს ლიკვიდაციას უკეთებენ. ისევ მელიას აყენებენ ცუდ მდგომარეობაში. მელია ჭკვიანი გამოდგა და თქვა: მე თვითიზოლაციაში ვარ, როგორც დააჭერინეთ ჩემი თავი, ისე გამომიყვანეთო.

– პრაქტიკულად, სახეზე გვაქვს 2-კვირიანი ულტიმატუმი, რომლის ვადაც იწურება... რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები ვერ შეთანხმდნენ? რამდენად არის მოსალოდნელი საპროტესტო აქციების დაწყება?

– სადაც სიტყვა „ულტიმატუმია,“ იქ შეთანხმებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ისინი იყენებენ ულტიმატუმის ენას. სადაც ულტიმატუმია, იქ შერიგება არასდროს მოხდება. ეს ძალიან კარგად იცის შარლ მიშელმა.

ამის ფონზე გაძლიერდა ანაკლიის თემა. დიახ, ანაკლია არის ჩვენი სტრატეგია, ანაკლია არის დიდი ლახვარი რუსებისთვის. ამ ანაკლიას ჩვენ მაინც გავაკეთებთ ზუსტი მოთხოვნების შესაბამისად.

იმ ფლანგზე ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომელთა ხელში ლანცეტი რომ მოხვდეს, კარგი ჭრილობის გაკეთება შეიძლება, ხოლო უგვანოს ხელში ის ლანცეტი მომაკვდინებელი იარაღი ხდება. ისინი, ვინც იმ ფლანგზე არიან, ერთი პოლიტიკური ძალის ლანცეტებია, რომლებიც აზიანებენ სხეულს.

პატარა პარტიებს მივმართავ: თქვენი ინტელექტუალური პოტენციალი, დაგროვილი პოლიტიკური გამოცდილება და ის ხედვები, რომლებიც კარგი გაქვთ, შეიძლება გამოიყენოთ იმ პოლიგონზე, რომელიც მთავრობამ შემოგთავაზათ ბარიერის ნულამდე დაწევით. თუმცა, თქვენ რატომღაც ხართ იმ ფლანგზე, რომელიც დესტრუქციულია. სანამ არ ჩაეხსნებით იმ ფლანგს, არაფერი გამოგივათ, დაიღუპავთ თავს...

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

რა სანქციები, რის სანქციები... ან თქვენ რა ხეირი, ნაცისტებო!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ ნანატრი სანქციები, რომელზეც ჩვენი რადიკალური ოპოზიცია ოცნებობს, არ იქნება. ამის მიუხედავად, ოპოზიცია იმედოვნებს, რომ შტატები მალე ბიძინა ივანიშვილისთვისაც მოიცლის. მათი აზრით, უკრაინელი ოლიგარქის იგორ კოლომოისკისთვის დაწესებული სანქციები სახელმწიფო დეპარტამენტის მინიშნება იყო, რომ სანქციების გამოყენება საჭიროებისამებრ გავრცელდება სხვა ქვეყნებზეც.

მას შემდეგ, რაც კორუფციულ გარიგებებში მხილებულ კოლომოისკის და მისი ოჯახის წევრებს აშშ-მა ქვეყანაში შესვლა აუკრძალა, ოპოზიციური სპექტრი არ გამორიცხავს, სია კიდევ გაგრძელდეს. ამის ფიქრის საფუძველს მათ აძლევს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი ფაქტი.

„ნაცმოძრაობის“ წევრ **სალომე სამადაშვილის** თქმით, სანქციების შემოღება ოლიგარქებთან მიმართებით, ფაქტობრივად, აშშ-ის და, გარკვეულწილად, ევროპის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი გახდა. ამდენად, ივანიშვილმაც უნდა იცოდეს, რომ ეს საფრთხე რეალურია და სწორედ პერსონალური სანქციებია ყველაზე ეფექტური ბრძოლის საშუალება ოლიგარქების წინააღმდეგ. „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ასოცირებული პროფესორი, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი **თენგიზ ფხალაძე** აცხადებს, რომ, თუ მამუკა მდინარაძემ სანქციებთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა, ეს არასწორია.

„ჯერ ერთი, არა მგონია, ვინმე სანქციებზე მართლაც ოცნებობდეს საქართველოში, რაც არ უნდა უარყოფითად იყოს განწყობილი ამ ხელისუფლების მიმართ, რადგან ეს დააზარალებს საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანქციები იქნება პერსონალური. მე არ ვიცი, ეს იქნება ივანიშვილის თუ სხვა ვინმეს წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტია, სანქცია არ დაწესდება ქვეყნის მიმართ. თუ დაწესდება, ეს იქნება პერსონის მიმართ, მაგრამ პერსონალური სანქციებიც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე. არა მგონია, ჩვენ მაინცდამაინც ის ტაქტიკა უნდა ავირჩიოთ, რომ გამოვცადოთ ჩვენი პარტნიორების მოთმინება, თუ რა დონეზე უნდა შეგვეშალოს ან რა დონეზე უნდა გადავცდეთ ზღვარს, რომ მათ სანქციები დაგვიწესონ“, – აცხადებს თენგიზ ფხალაძე და განმარტავს, რომ ჩვენ იმას უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერის კონსოლიდაცია მოვახდინოთ საქართველოს წინ წაწევისთვის.

კერძოდ, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველო აბსოლუტურად სხვა რაკურსით წარმოჩნდეს, ჩვენ უნდა ვლაპარაკობდეთ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, მის ინტეგრაციაზე, ევროუსაფრთხოებაზე. ამის საწინააღმდეგოდ, დღეს სრულიად მსოფლიოს მედია, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირი არ დარჩენილა, რომელიც შეშფოთებას არ გამოთქვამს საქართველოში არსებული კრიზისის გამო. ამიტომ ჩვენთვისვე სჯობს, ვიფიქროთ არა მათი მოთმინების გამოცდაზე, არამედ იმაზე, როგორ განვავითაროთ პოზიტიური დღის წესრიგი, რათა კრიზისი დროზე განიმუხტოს. ეს ყველას ინტერესში უნდა იყოს.

ანალიტიკოსი **დემურ გიორხელიძე** აცხადებს, რომ რთულია იმის თქმა, რა მოხდება მომავალში და სანქციებს დააწესებენ თუ არა, მაგრამ ევროსაბჭოს პირველი პირის ჩამოსვლა საქართველოში როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის სრული მარცხი იყო. ამ ადამიანებმა აჩვენეს, რომ ისინი პოლიტიკოსები არ არიან, კრიზისულ სიტუაციაში არ შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა...

მანანა ნოზაძე

◎ თარიღი

შენებისთვის დაბადებული

ვულოცავთ ნოდარ მეძმარიაშვილს

საქართველოსა და უკრაინის სამშენებლო სფეროს თვალსაჩინო მოღვაწეს, დონეცკის ოლქის სამშენებლო გაერთიანება „დონეცკჟილსტროის“ უფროსს (1967-1973 წ.წ.) საქართველოს მშენებლობის მინისტრს (1973-1981 წ.წ.), რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (1981-1982 წ.წ.), დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ელჩს რუსეთის ფედერაციაში, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და პრეზიდიუმის წევრს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და დამსახურებულ მშენებელს, ამჟამად საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორის მოადგილეს, უფროსი თაობის მშენებელ ინჟინერთა სამაგალითო წარმომადგენელსა და სამშობლოს ამაგდარს, ბატონ

ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილს

გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

მეგობრები და კოლეგები:

ნოდარ ჩიბალაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, დავით გურგენიძე, როლანდ მიქაუტაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, ომარ კიკნაძე, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოლონაძე, ომარ ჟვანია, გიორგი გვასალია, ჯემალ შერვაშიძე.

◎ სულიერება

ყველიერის, მიტევების კვირიაკე

14 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება და მას მიტევების, ყველიერის კვირიაკეს ვუწოდებთ...

...მიტევების დღეს, დილით ყველა ადამიანი გაახელს თუ არა თვალს, შესთხოვს უფალს შენდობას, ღრმად იხედება თავის სულში და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით უფრო სინანულით ევედრება უფალს ცოდვათა მიტევებას.

ამგვარად, ის (ადამიანი) გამოითხოვს სულიწმინდის მადლს შემოქმედისგან, რომელიც ვითარცა ცეცხლი განწმენდს სულს მანკიერებისაგან!

ნიშანდობლივია, რომ შენდობის კვირიაკეს თავი უნდა დავიმდაბლოთ და ყველა ადამიანს ვთხოვოთ, გვაპატიოს ჩვენი საქციელი, რომლითაც გული ვატკინეთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარ თავზე (ყოველი ცოდვის სათავე ხომ ამპარტავნებაა).

ჩვენ გვმართებს, პირველ რიგში, ჩვენ შევუნდოთ მას (ყველა ადამიანს) ყველაფერი და შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელობით მისგან ვითხოვოთ პატიება...

როგორც ამბობენ, მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა.

გიული ლიპარტია

„ისინდი“ №2



გამოვიდა ლიტერატურული ჟურნალ „ისინდის“ (რედაქტორი იკა ქადაგიძე) ახალი, მე-12 ნომერი.

პირველი და მეოთხე გვერდის ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ **მარსიანს,** კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ელენე დობორჯგინიძეს.**

თუმცაღა ვარღვევთ ტრადიციას და ამჯერად აღარ ჩამოგითვლით რუბრიკებს, ვინაიდან თქვენ თვითონ ისედაც ნახავთ! მაშ, წინასწარ რატომ გაგიფერმკრთალოთ პირველაღმომჩენის სიამოვნება?! თანაც ნებისმიერი ლიტერატურული ორგანოს სახეს ქმნის არა თავისთავად რუბრიკები, არამედ ავტორების ნიჭი და გაქანება!..

გარდა ამისა, სარჩევის თანამიმდევრობით ამჯერად მაინც აღარც ავტორებს ჩამოგითვლით დიაკვნური თავშესაწყენი ერთფეროვნებით! ოღონდ მთავარია, რომელიმე მათგანი არ გამოგვრჩეს!

აი, **„ისინდის“** მე-12 ნომრის შემოქმედთა ვინაობა: **იკა ქადაგიძე, ვანო გელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი, ვახტანგ ბახტაძე, ნომადი ბართაია, როლანდ თოფჩიშვილი, მარსიანი, როსტომ შამუგია, პოეტ პოეტიშვილი, დიანა მეტონიძე, მედგარ ჭელიძე, ციცინო ბენიძე, სანდრო ნებიერიძე, ნოშრევან თავხელიძე, ნანა შალამბერიძე, ჯემალ მეხრიშვილი.**

„ისინდის“ ანოტაციის შეფარებისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკას“,** საიდანაც ახალგამოსული ჟურნალი თავის მკითხველებამდე ყველაზე სწრაფად მიაწვდენს ხმას.

„ისინდის“ სარედაქციო კოლეგია

◎ მხნედ, კოლეგა!

გვარის სიამაყე

დღეს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ზაურ ნაჭყებიას 60 წელი შეუსრულდა.

დაიბადა 1961 წლის 10 მარტს ჩხოროწყუს რაიონში. ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

მუშაობდა რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ პრესაში. 1989-1993 წლებში იყო ქალაქ თბილისის მერის თანაშემწე და მერიის პრესსამსახურის უფროსი, ხოლო შემდეგ გაზეთ „ბიზნეს კურიერის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი; 1996-1999 წლებში ფინანსთა სამინისტროს გაზეთ „ფინანსებს“და გამომცემლობა „ფინანსებს“ ხელმძღვანელობდა.

მუშაობდა საქართველოს პარლამენტში ჯერ კონსულტანტად, ხოლო შემდეგ პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატის უფროსად. 2004 წელს დააფუძნა საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ რომელსაც ხელმძღვანელობდა 2012 წლამდე, პარალელურად გამოსცემდა ყოველთვიურ ჟურნალს „ბიზნესი და კანონმდებლობა“, რომელიც დღესაც გამოდის, როგორც ინტერნეტგამოცემა.

2012 წლიდან დღემდე საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„ივერიონის“** დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია.

საკმაოდ ნაყოფიერია მისი, როგორც ნიჭიერი ჟურნალისტის, პუბლიცისტური საქმიანობა.

ამის დასტურია 2017 წელს გამოცემული პუბლიცისტური კრებული **„სამართებლის პირზე“,** სადაც წარმოჩენილია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ღრმა ანალიზი. აქვს პროგნოზირების იშვიათი უნარი. ეს რომ ასეა, წიგნის ზერელე გადათვალიერებაც კი დაგარწმუნებთ ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

მე ნაჭყებიათა საგვარეულო კავშირის საპატიო პრეზიდენტს, რომელსაც სულ რამდენიმე თვე მიკლია 94 წლამდე, მაქვს უფლება, წარვადგინო იგი, როგორც საგვარეულოს ერთ-ერთი ნიჭიერი და წარმატებული პიროვნება.

იხაროს მისმა შთამომავლობამ (ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და 5 შვილიშვილი).

თავად იუბილარს კი დღეგრძელობას ვუსურვებ.

დაბეჯითებით შემიძლია თქმა, რომ ზაური კაცთმოყვარე, ყოველთვის მეგობრებისა და ახლობლების გვერდით მდგომი პიროვნებაა. ძალიან პრინციპული და მიზანმიმართული, რაც აშკარად ჩანს მის პუბლიკაციებშიც.

კიდევ ერთხელ ვულოცავ დაბადების დღეს და ვლოცავ!

გიორგი ნაჭყებია,
ნაჭყებიათა საგვარეულოს საპატიო პრეზიდენტი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

რედაქციისგან:

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გამორჩეული პატივისცემით მიესალმება ჩვენს საუკეთესო მეგობარს და თანამოაზრეს, კალამღონიერ, „დაუნდობელ“ პუბლიცისტს, მწერალს და გამომცემელს ზაურ ნაჭყებიას და ულოცავს დაბადების დღეს...

სამჯერ ოცი ძალიან ცოტაა, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო! წინ კიდევ დიდი გზა და პროფესიული აღმართები გელოდება. კოლხური სითბო და სიკისკასე არ მოჰკლებოდეს შენს ჯავარიან სიტყვას...

მილიონერი პედაგოგი

საქართველოს ახალი მილიონერი ჰყავს. 9 მარტს „ლოტო 6/42-ში“ ჯეკპოტი, 1 015 291 ლარი გათამაშდა, მომგებიანია კომბინაცია კი ასეთი იყო: 2, 14, 17, 20, 34, 38.

საქართველოს ახალი მილიონერი მარინე კობახიძეა. 55 წლის პედაგოგი თბილისში ცხოვრობს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის. მომგებიანი ბილეთი კი ყაზბეგის გამზირზე შეიძინა.

სხვათა შორის, პირველი ქართველი მილიონერიც კობახიძე გახლდათ — გრიგოლ კობახიძე, იგივე ჯორჯ კობი, რომელიც ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში დაიბადა და ამერიკაში წარმატებული ბიზნესმენი გახდა.

ერდოღანის პლატფორმა და საქართველო

(მესამე გვერდიდან)

ოღონდ რუსეთის შემდგომი დასუსტებისა და პანთურქული იდეის ეტაპობრივად განხორციელების კვალდაკვალ ამ ქვეყნის როლი შემცირდება. ამ ჩანაფიქრის სრული განხორციელების შემთხვევაში კი მას დაშლაც ემუქრება (თათრეთის, ბაშკირეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ჩამოცილება).

ეს პროგრამა არც ისე უტოპიურია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ცოტა ხნის წინ (XX საუკუნის 90-იან წლებში) რუსეთი ძალზე ახლოს იდგა ამ სცენარის განამდვილებასთან. ერთ-ერთი მიზეზი რატომაც მოვლენები რუსეთისთვის ასე დრამატულად არ განვითარდნენ, მაშინდელი დასავლეთის (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების) პოლიტიკა იყო. დღევანდელი ვითარებიდან პრინციპული განსხვავება კი ის გახლავთ, რომ სამი ათეული წლის წინ პანთურქული იდეა არ იყო მიმზიდველი და თავდადებული ადეპტები არ ჰყავდა. თურქეთი კი სხვაგვარი ორიენტაციის ქვეყანა იყო. უნდა ითქვას, რომ პანთურქული იდეის გაცოცხლება დაიწყო ე.წ. არაბული გაზაფხულისას. რეალური კონტურები კი შეიძინა არაბული გაზაფხულის ფაქტობრივი წარუმატებლობის შემდეგ. რაც შეეხება რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, იგი თანდათან ცივი ომის პერიოდისას ემსგავსება, ამასთან, პუტინის რუსეთი არც ისე შორს არის XX საუკუნის 80-იანი წლების კრიზისისპირა საბჭოეთიდან.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ვფიქრობთ, არ ღირს პანთურქიზმის საფრთხის ზედმეტად დრამატიზება. ეს გეგმა არც ისე იოლი განსახორციელებელია, როგორც პროექტის ავტორებს ჰგონიათ.

პირველ რიგში, პანთურქიზმის იდეის რეალიზაციას ყოველმხრივ შეეწინააღმდეგება ირანი. ამ ქვეყანაში მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს თურქული მოდგმის ხალხები შეადგენენ (ე.წ. ირანის აზერბაიჯანელები). ისინი ირანის 4-5 ოლქში სახლობენ (ისტორიული ადარბადაგანი, რომელსაც ბაქოში სამხრეთ აზერბაიჯანს უწოდებენ). პანთურქული წამოწყების სერიოზული წარმატება უბრალოდ დაანგრევს ირანს. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბაქოსა და ანკარაში გამოცხადებული ლოზუნგი „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“, ირანულ ადარბადაგანსაც გულისხმობს. ამიტომ თეირანისთვის ალბათ, უმჯობესი იქნება, შეეშვას ისრაელთან დაპირისპირებას და შიიტური სოლიდარობიდან გადაერთოს ირანული ხალხების (ავღანელები, ტაჯიკები, ქურთები) კონსოლიდაციისაკენ. ამას თავის დროზე ცდილობდა ირანის ყოფილი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, თუმცა წარუმატებლად (ვერ დაძლია აიათოლების დაციკვლა შიიზმზე). არ გამოირიცხება არც ფირდოუსის „შაჰნამეში“ აღწერილი ირან-თურანის დაპირისპირების აღორძინება. ვფიქრობთ, ქურთისტანის სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება სწორედ ირანს უნდა აძლევდეს ხელს. ამ გზით იგი შეძლებს (თუ ძალიან მოინდომებს), ხმელთაშუა ზღვაზე გასვლას, საიდანაც თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელმა გააბრუნა. თურქეთი კი პირიქით, მთელი ძალებით ეწინააღმდეგება ამ პროცესს. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, თუ კონკრეტულად რა ფორმებს მიიღებს ირან-თურქეთის დაპირისპირება, თუმცა ერდოღანის გამოსვლაზე პირველი მწვავე რეაქცია თეირანმა უკვე გააკეთა.

პანთურქიზმს არც ამერიკის შეერთებული შტატები შეხვდება პასიური მეთვალყურის როლში. მთელი ოცდაათი წელია, ვაშინგტონი ცდილობს, საქართველოს გავლით შუა აზიაში შეაღწიოს და ამდენ ნაჯაფს ასე უბრალოდ არ დათმობს. მაიკ პომპეოს საქართველოში ბოლო ვიზიტიც სწორედ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორიის მონიშვნას ემსახურებოდა. თურქეთთან ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც რთულ ურთიერთობას პანთურქიზმი კიდევ უფრო დააბრკოლებს. 2020 წლის მიწურულს ნატოს მინისტერიალზე დადგინდა შავ ზღვაზე ამ ალიანსის მუდმივი სამხედრო ყოფნა, რაც არა მარტო ანტირუსულ, არამედ ანტითურქულ აქციასაც წარმოადგენს.

ზოგიერთი ანალიტიკოსის მოსაზრება, რომ თურქეთის ექსპანსიურ მისწრაფებას ამერიკის შეერთებული შტატები უმაგრებს ზურგს, არ დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით (დღევანდელი ამერიკა-თურქეთის ურთიერთობა არ არის საუკეთესო). ამგვარი რამ არც ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ვექტორიდან გამომდინარეობს. ვფიქრობთ, ზემოთქმული მცდარი შეხედულება მხოლოდ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორის რუსეთზე გადამისამართებას ისახავს მიზნად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა 2021 წლის მიუნჰენის უსაფრთხოების თათბირზე გამოსვლის დროს მკვეთრად გაილაშქრა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თურქეთის გეგმების წინააღმდეგ.

დაბოლოს, არც ჩინეთი იქნება გულხელდაკრეფილი. შუა აზია-კავკასიის რეგიონი მისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპასთან დასაკავშირებლად (მაშინ, როცა საზღვაო გზები მკაცრად კონტროლდება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ). ტყუილად ხომ არ კეთდება ტრანსკონტინენტული აბრეშუმის გზა (სტრატეგიული ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“), რომლის ძირითადი ტოტი შუა აზიასა და კავკასიაზე გადის. ჩინეთის დღევანდელი ხელისუფლება მას დიდ ყურადღებას უთმობს. ამასთან, პანთურქიზმი თუ არ შეფერხდა — სინძიანამდე მივა, რაც ცისქვეშეთს ძალიან დააზარალებს.

ამიტომაც პანთურქიზმის პერსპექტივები ფრიად ბუნდოვანია და თუ სერიოზულ შეცდომებს არ დავუშვებთ, დიდი შანსია, შექმნილი ვითარება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. თურქეთის უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართვები საქართველოს ახლადდანიშნულ პრემიერ-მინისტრისადმი სწორედ ამას ადასტურებს. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია მათ მიერ გამოხატული ოფიციალური პოზიცია. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ სწორად გვესმოდეს შექმნილი ვითარების სიღრმე და შესაძლო პერსპექტივები. ამ თვალსაზრისით მართებული იყო საქართველოს ხელისუფლების განცხადება, რომ იგი კეთილგანწყობით შეხედავს მხოლოდ იმ პროექტებს, რომელთა მონაწილენიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. იმავდროულად კარგად უნდა დავაკვირდეთ ამგვარ მოქმედებებს კავკასიაში, რათა არ აღმოვჩნდეთ უსიამოვნო ფაქტებისა და ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო ალიანსების პირისპირ. მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით დრამატული ისტორიული გამოცდილება გვაქვს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი საფრთხე, რაც საქართველოს ემუქრება, ეს არის მისი შინაგანი სისუსტე. ჩვენ არ შეგვიძლია, საკუთარი რესურსებით ავიცილოთ თავიდან ის ხიფათი, რასაც შესაძლოა შეიცავდეს სხვადასხვა ძვეყნების გეოპოლიტიკური გეგმები კავკასიის რეგიონში. მით უმეტეს, რომ ამის მზაობა არ არის ძართულ პოლიტიკურ ელიტაში, რომელიც ძირითადად ერთმანეთთან შეურიგებელი ბრძოლით არის დაკავებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შექმნილ ვითარებაში ჩვენთვის უპირატესი მნიშვნელობა აქვს ევროატლანტიკურ ვექტორს. ოღონდ, ესაა, ევროატლანტიკური პოზიცია უნდა ემყარებოდეს ეროვნულ იდენტობასა და ღირსებას. თუ გვსურს, სტრატეგიულმა პარტნიორმა დაგვაფასოს და პატივისცემით მოგვეპყრას, უნდა შევეშვათ არაფრისმომცემ მაამებლობას (რაც თითქმის ოცდაათი წელია გრძელდება). ჩვენს ქვეყანაში უნდა დავამკვიდოთ ფუნდამენტური დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები (დამოუკიდებელი სასამართლო, ძალმოსილი პარლამენტი, რეალური თვითმმართველობა, ხელისუფლებათა დანაწილება). მხოლოდ ასე შევძლებთ, დავიკავოთ საკუთარი ადგილი ცივილიზებულ სამყაროში.

გურამ სანადირაძე,
ნიკოლოზ სანეგლიძე

რუსეთს აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალა შეჰყავს!

რუსეთს აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალა შეჰყავს. როგორც „აქცენტს“ სოხუმიდან აცნობეს, ბოლო დღეების განმავლობაში, ღამის საათებში ფსოუზე დე ფაქტო საზღვარს რეგულარულად კვეთენ „ურალის“ ტიპის სატვირთო ავტომობილები, რომლებშიც რუსი სამხედრო მოსამსახურეები იმყოფებიან.

„მორიგეობა სამ დღეში ერთხელ მიწევს. სამი დღის წინ, ჩემი მორიგეობისას, ღამის 03:00-დან 04:00 სთ-მდე შუალედში აფხაზეთში 22 ასეთი მანქანა შემოვიდა, წუხანდელი მორიგეობისას კი პირადად მე 20-მდე მოვითვალე. კიდევ რამდენმა გადმოკვეთა საზღვარი ჩემი მორიგეობის დასრულების შემდეგ — დანამდვილებით ვერ გეტყვით“, — განუცხადა „აქცენტს“ ერთ-ერთმა აფხაზმა „მებაჟემ“.

საგულისხმოა ის გაფრთხილებაც, რომელიც 11 მარტისთვის დაგეგმილი ოპოზიციური მიტინგის გაშუქების მსურველმა აფხაზმა ჟურნალისტებმა მიიღეს: მათურჩიეს, „თავი აარიდონ მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნას და აუცილებლად თან იქონიონ მედიის წარმომადგენლების განმასხვავებელი რაიმე ვიზუალური ნიშნები“.

მეხუთე დღეა, დე ფაქტო შსს-ს წარმომადგენლები ქალაქში ღამის თითოეულ მანქანას აჩერებენ და ჩხრეკენ.

ცნობისთვის: აფხაზური ოპოზიციის რევანშისტულად განწყობილი ნაწილი — უმთავრესად წინა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას „ხელისუფლების“ ყოფილი კორუმპირებული ჩინოსნები 11 მარტისთვის სოხუმში აქციამსვლელობის გამართვასა და, არაოფიციალური ინფორმაციით, გადატრიალების მოწყობას გეგმავდნენ. ოპოზიციის ამ რადიკალური ნაწილის „ძალოვანი ცენტრი“ — „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის გმირი“ ახრა ავიძბა ორიოდ დღის წინ მის რამდენიმე ყოფილ თანამებრძოლთან ერთად დიდი ოდენობით იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. ავიძბას წინასწარი ერთთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

რევანშისტულად განწყობილმა ოპოზიციამ მორიგი „რევოლუციის“ მზადების მიზეზად ასლან ბჟანიას დე ფაქტო ხელისუფლების ინიციატივა გამოიყენა „საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და მრავალდონიანი დიალოგის ჩამოყალიბების“ თაობაზე, რომელიც ამასწინათ დამტკიცებულ „საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაშიც“ აისახა. როგორც ყოფილი კორუმპირებული ჩინოსნები აცხადებენ, „ამ მოღალატეობრივი ინიციატივის რეალიზება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დასასრულის დასაწყისად იქცევა“. არადა, თავად უკვე წლებია, არალეგალურად შეაქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საკუთარ მაღაზიებში ქართული პროდუქცია და ვაჭრობენ ისე, რომ აფხაზურ ბიუჯეტს გადასახადების სახით კაპიკს არ უხდიან. შესაბამისად, რადიკალურ ოპოზიციას ახლა რეალურად, მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: დაბრუნდეს დე ფაქტო ხელისუფლებაში და შეინარჩუნოს ქართულ მხარესთან „კონტრაბანდული“ ვაჭრობის შესაძლებლობა, რათა გააგრძელოს პირადი გამდიდრება აფხაზური ბიუჯეტისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ხარჯზე.

ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲓᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ – „ᲑᲔᲚ ᲙᲐᲜᲢᲝᲡ“ ᲣᲒᲐᲓᲚᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲡᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ. ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲙᲝᲰᲝᲠᲢᲐᲡ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲢᲔᲜᲝᲠᲘ ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲓᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ, XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ „ᲑᲔᲚ ᲙᲐᲜᲢᲝᲡ“ (ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ) ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ �გᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ.

იგი დაიბადა 1921 წლის 24 ივლისს პატარა ქალაქ მოტა-სანტ ანასტასიაში, სიცილიის ქალაქ კატანიასთან ახლოს, მეწაღისა და თერძის ოჯახში. განათლება იეზუიტურ სემინარიაში მიიღო და ახალგაზრდობაში სურდა საეკლესიო მსახური გამოსულიყო.

ბავშვობაში სიმღერისადმი რაიმე ინტერესი არ ჰქონია. მილანში, სადაც იგი სემინარიაში სწავლობდა, ვოკალური ხელოვნების მოყვარულმა ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა ურჩია, სიმღერის გამოცდილი პედაგოგისთვის მიემართა. სპეციალისტების რეკომენდაციით ჯუზეპემ სემინარია მიატოვა და ვოკალში ლუიჯი მონტეზანტოსთან აქტიურ მეცადინეობას შეუდგა. მის გადაწყვეტილებას მშობლებმა მხარი დაუჭირეს და საცხოვრებლად მილანშიც კი გადავიდნენ. სწორედ ამ დროს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. იგი ჯარში გაიწვიეს, თუმცა ბრძოლის წინა ხაზზე არ მოხვედრილა. მას ერთ-ერთი ოფიცერი მიეხმარა, რომელსაც ძალიან მოსწონდა ახალგაზრდა ჯარისკაცის ხმა. 1943 წელს, როდესაც დი სტეფანოს სამხედრო ნაწილს გერმანიაში გამგზავრება უწევდა, მან პროტესტი გამოთქვა და შვეიცარიაში გაიქცა. აქ იგი პატარ-პატარა კონცერტებს მართავდა და ამით ირჩენდა თავს. მის საკონცერტო პროგრამაში პოპულარული საოპერო არიები და იტალიური სიმღერები შედიოდა.

ომის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ჯუზეპე მონტეზანტოსთან ისევ აგრძელებს მეცადინეობას. 1946 წლის 21 აპრილს ქალაქ რეჯიო-ემილიას მუნიციპალურ თეატრში მისი დებიუტი შედგა მასნეს ოპერა „მანონში“ დე გრიეს როლში. წლის ბოლოს მომღერალი შვეიცარიაში გამოდის, ხოლო 1947 წლის მარტში პირველად მღერის ლეგენდარული „ლა სკალას“ სცენაზე. ამავე წლის შემოდგომაზე მას იტალიაში დასასვენებლად მყოფმა, „მეტროპოლიტენ-ოპერის“ დირექტორმა ედუარდ ჯონსონმა მოუსმინა. პირველი ფრაზებიდანვე დირექტორი მიხვდა, რომ მის წინაშე ლირიული ტენორი იდგა, რომლის მსგავსი უკვე კარგა ხანს არ ჩანდა არენაზე. **„მან უნდა იმღეროს „მეტროპოლიტენში“, აუცილებლად ამ სეზონშივე“,** – გადაწყვიტა ჯონსონმა.

1948 წლის თებერვალში დი სტეფანოს დებიუტი შედგა „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ ჰერცოგის პარტიაში ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“. მსმენელმა მომღერალი ოვაციებით დააჯილდოვა, ხოლო მისი შესრულება მუსიკალური კრიტიკოსების მიერ, სასიმღერო ხელოვნების უმაღლეს დონედ შეფასდა. დი სტეფანო უმალ ჩარიცხეს თეატრის სოლისტად. ხუთი სეზონის განმავლობაში იგი წარმატებით გამოდიოდა ნიუ-იორკში, უმეტეს შემთხვევაში ლირიულ პარტიებში, როგორიცაა: ნემორინო და ედგარი – დონიცეტის „სიყვარულის ნექტარსა“ და „ლუჩია დი ლამერმურში“, ალფრედი-ვერდის „ტრავიატაში“, დე გრიეს „მანონში“, ვილჰელმი-ტომას „მიგნონში“, რუდოლფი და რინუჩო პუჩინის „ბოჰემასა“ და „ჯანი სკიკიში“, რითაც საბოლოოდ დაიპყრო „მეტროპოლიტენის“ მომთხოვნი აუდიტორია და ამერიკელების საყვარელ მომღერლად იქცა. ამ პერიოდში იგი ტრიუმფით გამოდის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაშიც. დი სტეფანოს რიოდე-ჟანეიროში ერთ-ერთი გამოსვლის დროს, პირველად დაირღვა მრავალი წლის წინ დაკანონებული აკრძალვა, სპექტაკლის მსვლელობის დროს ოვაციის გამართვა.

1952-53 წლების სეზონში მომღერალი ისევ „ლა სკალას“ სცენაზე გამოდის, სადაც ბრწყინვალედ ასრულებს ოპერა „ბოჰემადან“ რუდოლფისა და „ჯოკონდადან“ ენცოს პარტიებს. აქ მომდევნო სეზონში იგი ტენორის ექვს ცენტრალურ პარტიას მღერის: ხოზეს, ალფრედს, ტურიდუს, რუდოლფს, ნემორინოს და ალვაროს, რომლებიც იმ დროს ყველაზე სრულად ასახავდა მის შესაძლებლობებს და სარეპერტუარო ძიებებს. მსმენელის წინაშე აქ დი სტეფანო წარსდგა როგორც გამორჩეული ოსტატობით და მდიდარი ეფექტური ჟღერადობით აღჭურვილი მომღერალი – ღრმა სუნთქვაზე დაყრდნობილი მღერადი „მოცურავე“ ლეგატოთი, გამომსახველი ფრაზებით, ობერტონებითა და გრძნობათა შთამბეჭდავი განცდებით, არაჩვეულებრივად ლამაზი, ბრწყინვალებით აღსავსე ხმოვანებით, სხივოსნობითა და ნათელი ფერებით.

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდიდან წარმატებით გრძელდება დი სტეფანოს გასტროლები ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. 1955 წელს დასავლეთ ბერლინის თეატრში მონაწილეობას იღებს დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურის“ დადგმაში, სადაც ფილიგრანული შესრულებით წარმოაჩენს ედგარის პარტიას. ამის შესახებ ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ედგარის პარტიის ადრინდელი შემსრულებელი (ჯოვანი ბატისტა რუბინი) ლეგენდარული სახელითაა მოსილი, რთული დასაჯერებელია, რომ იგი ამჟამინდელ მსმენელზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ამას აღწევს ჯუზეპე დი სტეფანო... მისი მოსმენის შემდეგ, შეუძლებელია არ დაეთანხმო სტატიის ავტორს.

1954 წლიდან მომღერალი ექვსი წლის განმავლობაში რეგულარულად გამოდის ჩიკაგოს ლირიულ თეატრში. 1955-56 წლების სეზონში იგი ჩადის ნიუ-იორკში და „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ მღერის „კარმენში“, „რიგოლეტოსა“ და „ტოსკაში“. პერიოდულად გამოდის რომის საოპერო თეატრის სცენაზე. ცნობილი მუსიკათმცოდნე ტიმოხინი წერდა: „ვერდისა და ვერდისტი კომპოზიტორების ოპერებში დი სტეფანო მაყურებლის წინაშე წარსდგება, როგორც მძაფრი ტემპერამენტის მომღერალი, რომელიც ცოცხლად გრძნობს და ოსტატურად გადმოსცემს ლირიული დრამის პერიპეტიებს, იპყრობს მათ თავისუფლად „მოლივლივე“ ხმით, დინამიურად განვითარებული ფაქიზი მრავალფეროვნებით, ემოციის ძლიერი კულმინაციური და ფეთქებადი მომენტებით, ტემბრის მდიდრული ფერებით. მომღერალი სახელგანთქმულია ფრაზის შესანიშნავი გამომხატველობით, ვერდისა და ვერდისტთა ოპერების ვოკალური ხაზით, ტკბილმოუბარი ხმოვანების საამური, ნიავის ქროლვისებრი ბგერებით. ისეთი პოპულარული ოპერების მონაკვეთებშიც კი, როგორებიცაა – სცენა გემზე პუჩინის „მანონ ლესკოდან“, კალაფის არიები „ტურანდოტიდან“, მიმისთან ბოლო დუეტი „ბოჰემადან“, კავარადოსის ორივე არია „ტოსკადან“, დედასთან გამომშვიდობება ლეონკოვალოს „სოფლის პატიოსნებიდან“, სადაც მსახიობი აღწევს გასაკვირ სიახლეებსა და მღელვარებას, მათ გულმხურვალე ემოციურობას.“

ცდილობდა რა, თავისი შემოქმედებითი დიაპაზონის გაზრდას, დი სტეფანომ თავისი რეპერტუარი დრამატული ტენორის პარტიებით შეავსო. „ლა სკალას“ 1956-57 წლების სეზონის გახსნის დროს იგი რადამესს მღერის ვერდის „აიდაში“, მომდევნო სეზონის დროს კი რიჩარდის პარტია შეასრულა ოპერა „ბალ-მასკარადში“, რა დროსაც მომღერალს დიდი აღიარება ხვდა წილად. თითქმის ათი წლის განმავლობაში დი სტეფანო ტრიუმფით გამოდიოდა ვენის ოპერის სახელმწიფო თეატრში, სადაც მთავარი პარტიები შეასრულა ოპერებში: „ანდრე შენიე“, „კარმენი“, „ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“, „ჯამბაზები“, მადამ ბატერფლაი“, „სიყვარულის ნექტარი“. ცნობილი მომღერალი ტოტი დალ მონტი იგონებს, რომ ცრემლებს ვერ იკავებდა „ლა სკალაში“ ტომას ოპერა „მინიონში“ ვილჰელმ მაისტერის როლში დი სტეფანოს გამოსვლის დროს.

1965 წლის იანვარში, ათი წლის შუალედის შემდეგ, მომღერალი „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ ბრუნდება, სადაც ჰოფმანის პარტიას მღერის ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპარში“, თუმცა მას ამ ოპერის სირთულეების გადალახვა გაუჭირდა. ამ პერიოდშივე გამოდის ბუენოს-აირესის თეატრ „კოლონში“, მღერის ხოზეს პარტიას „კარმენში“, „ბალ-მასკარადში“ გამოსვლაზე კი უარი განაცხადა. აქ უკვე ცხადი იყო, რომ სამწუხაროდ მომღერლის საუკეთესო წლები წარსულში დარჩა.

კარიერის ბოლო წლებში დი სტეფანომ თავისი ბედი ოპერეტაში სცადა. მონრეალის მსოფლიო გამოფენის „ექსპო-67“-ის დროს გამოდის ლეგარის ოპერეტაში „სტრანი ულიბოკ“. ამავე ოპერეტაში მღერის ვენის „ტეატრა ან დერ ვინის“ სცენაზე. 1971 წელს იგი რომის თეატრში ასრულებს ორფეის პარტიას ოფენბახის ოპერაში „ორფეი ვ ადუ“.

1970-იან წლების დასაწყისში მომღერალი კვლავ უბრუნდება საოპერო სცენას, ბარსელონის თეატრ „ლისეოში“ მღერის ლორისის პარტიას ოპერაში „ფიოდორა“, მიუნხენის ნაციონალურ თეატრში კი რუდოლფს „ბოჰემაში“. ამავე პარტიაში მისი ერთ-ერთი ბოლო გამოსვლა შედგა 1970-71 წლების სეზონის დროს „ლა სკალაში“. მუსიკალური კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მომღერლის ხმა თანაბრად და რბილად ჟღერდა, თუმცა ზოგიერთ მომენტში იგი კონტროლს კარგავდა და ბოლო მოქმედებაში საკმაოდ დაღლილად გამოიყურებოდა.

გვერდს ვერ ავუვლით დი სტეფანოს და გენიალური მარია კალასის ერთობლივ მოღვაწეობას. გასული საუკუნის 50-იან წლებში მათ არაჩვეულებრივი თანავარსკვლავედი შექმნეს და არაერთი დაუვიწყარი საოპერო სახე დაუტოვეს ვოკალურ ხელოვნებას, რომელთა უმრავლესობა გრამფირფიტაზეა ჩაწერილი და დღესაც აღფრთოვანებას იწვევს. მომდევნო პერიოდში, როდესაც კალასი დეპრესიაში იმყოფებოდა, ცხოვრებისეულ სირთულეებს და აქედან გამომდინარე ხმის პრობლემას განიცდიდა, დი სტეფანო იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მას გვერდში დაუდგა. აი, რას ამბობს ამის შესახებ ტენორი: **„იმ დროს მარია მძიმე და შემაძრწუნებელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა – ყოველდღიურად ერთი დღით ნაკლები სიცოცხლეღა მრჩებაო. მე მას ვიცნობდი ახალგაზრდას და ბედნიერს. ხშირად ხუმრობდა ხოლმე, მაშინაც კი, როცა „ლა სკალაში“ ჭირვეულობდა, სინამდვილეში, როგორც პატარა გოგონა, ამით ერთობოდა. ახლა კი ჩემ წინ უკიდურესად სასოწარკვეთილი და იმედდაკარგული ქალი იდგა, მომავლის სურვილის და პერსპექტივის გარეშე“**. დი სტეფანოს დიდი მცდელობით მარია კალასი სცენას დაუბრუნდა. მათ ერთობლივად 1973 წელს მსოფლიო საკონცერტო ტურნეც ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

ჯუზეპე დი სტეფანომ ვოკალური კარიერა 1992 წელს დაასრულა, თუმცა კვლავ შეინარჩუნა ცხოვრებისეული ხალისი და ტონუსი, მასტერ კლასებში სასიმღერო ფორმა. იგი ხშირად ხუმრობდა, რომ შემთხვევით გახდა მომღერალი, არა და სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. სცენაზე არაერთი მხედართმთავრის როლის შემსრულებელმა, სიცოცხლის ბოლოს რეალურ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. 2004 წლის ნოემბერში, ბანდიტური ჯგუფის წევრები კენიაში, საკუთარ სახლში, მას და მის ოჯახს თავს დაესხნენ. მომღერალმა მეუღლე და შვილები დაიცვა, თვითონ კი უამრავი ჭრილობა მიიღო. მიუხედავად ხანგრძლივი მკურნალობისა, ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა და მისი მეუღლის მონიკა კერტის გადმოცემით, სწორედ ეს გახდა 2008 წელს 87 წლის ასაკში დი სტეფანოს გარდაცვალების მიზეზი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲢᲔᲜᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲓᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. „ᲑᲔᲚ ᲙᲐᲜᲢᲝᲡ“ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲣᲓᲐᲝᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲝᲠᲤᲔᲝᲡᲘ“.

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲕᲝᲙᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ, ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ.

სამუშაო შეხვედრები ამჯერად კულტურის სფეროში მოქმედ სამ უმაღლეს სასწავლებელში – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა.

სამივე უმაღლესმა სასწავლებელმა კომიტეტის თავმჯდომარეს თავისი ინფრასტრუქტურა და ის საკითხები გააცნო, რომელთა გადაჭრაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველსაყოფად. კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრებზე ასევე აღინიშნა, რომ სამივე უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების ახალი მოდელის შემოღებას უჭერს მხარს და, ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოდელის პროექტიც უკვე შემუშავებული აქვთ. შეთანხმდა, რომ მოდელის პროექტის განხილვა უახლოეს მომავალში შედგება, რათა მომდევნო ეტაპზე შინაარსიანი და მიზანზე ორიენტირებული დისკუსიები განათლების სამინისტროს შესაბამის დაწესებულებებთან შედგეს.

◎ დენთის კასრი

სახელის გატეხას...

გუშინწინ **საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ ბრძოლის ველს ჰგავდა, სადაც შერკინებაც ვიხილეთ, მოლის დაყენებაც, შეკრებილთა, მათ შორის — ჟურნალისტთა ტრავმებიც და ღირსების დერეფნის ნაცვლად — პოლიციის დერეფანიც, მაგრამ ეს არ იყო სარაგბო მატჩი — ეს საქართველოს რაგბის კავშირის მორიგი ყრილობის პერიპეტიები გახლდათ, რომელმაც 42 ხმით სრკ-ის პრეზიდენტად** სოსო ტყემალაძე **აირჩია.**

სამწუხაროდ, გამართლდა ყველაზე უარესი ვარაუდი — თაობათა მიერ აქამდე რუდუნებით მოტანილი ქართული სარაგბო თემის შეურყვნელი სახელი და საერთაშორისო სარბიელზე „ბორჯღალოსანთა“ მოხვეჭილი დამსახურებული ავტორიტეტი საპნის ბუშტივით გასკდა და ძნელი სათქმელია, რამდენი ხანი დასჭირდება გაჩენილი იარის შეხორცებას.

ფორუმის შემდეგ სრკ-ის ახალმა თავკაცმა განაცხადა: **„კავშირს 17-18-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, ხოლო ჩვენ 5-6 მილიონი ვალი დაგვხვდა. ვფიქრობთ, დაახლოებით 2 მილიონის ოპტიმიზაცია მალევეა შესაძლებელი. რაც შეეხება განხეთქილებას, მიმაჩნია, რომ ემოციები თანდათან დაცხრება და ყველასთან მოხერხდება ქართული რაგბის საკეთილდღეოდ თანამშრომლობა, რისთვისაც პირადად მე მზად ვარ. ამის მტკიცებულებაა ახალ გამგეობაში „იქითა“ მხრის წევრების — ზედგენიძისა და ხვედელიძის, ასევე ორი ქალბატონის მოწვევა“.**

იგივე სულისკვეთებით საუბრობდნენ სრკ-ის გამგეობის თავმჯდომარე **გოჩა მაჭავარიანი** და წევრი **ალექსანდრე გრიგალავა:**

„სოსო ნეიტრალური პირია სხვათა ომის ფონზე და მეგობრები მათ შორისაც ჰყავს. იგი არც ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ახლობლობას მალავს, რომელმაც ფეხზე დააყენა ქართული სარაგბო ინფრასტრუქტურა.“

სხვათა შორის, სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება იქცა დესტრუქციული ოპოზიციის სადეზინფორმაციო ტელერუპორების მიკერძოებული რეპორტაჟების ძირითად თემად, რომლებიც ისე უაპელაციოდ მოგვევლინენ **ირაკლი აბუსერიძის** გულშემატკივრებად, თითქოს იგი პარლამენტის დეპუტატი მმართველი პარტიის სიით არ გამხდარიყოს.

არადა, როცა მიკროფონიანი ზონდერები „აბუს“ პირდაპირ ჩართვებში ეპირფერებოდნენ, პარალელურად, სტუდიებში მოკალათებული მათი კოლეგები უტიფრად აცნობდნენ ტელეაუდიტორიას საიდანღაც ამოტივტივებული რომელიღაც ინტერნეტ-გამოცემა „რეკორდერ ჯის“ ბინძურ სტატიას, სადაც თვით ირაკლი აბუსერიძეს, ირაკლი მაჩხანელსა და გაკვრით — სრკ-ის ყოფილ პრეზიდენტს გია ნიჟარაძეს თაღლითური სქემით სოლიდური ფართის „გაიმასქნებაში“ სდებდნენ ბრალს. დიახ, ასეთია ამ ორსახოვანი იანუსების ქამელეონური, ყოველგვარი ადამიანურისგან დაცლილი ბუნება.

თქვენი არ ვიცი და მე კი ნამდვილად არ გამკვირვებია „გლავკანალისა“ და მისი გერების ასეთი ჟღურტული, რადგან, ბევრი გულშემატკივრისა არ იყოს, კარგად მახსოვს 2007 წლის ჩვენთვის საკულტო 13 მაისს „ქორთიარდ მარიოტში“ განვითარებული ასევე სამარცხვინო საარჩევნო ვაიპროცესები, როცა მაშინდელმა ანტიქართულმა ხელისუფლებამ სამუდამო დაღი დააჩნია ქართულ ფეხბურთს და არჩეული პრეზიდენტი **გიორგი ნემსაძე** აიძულა 45 წუთში თანამდებობა დაეტოვებინა.

ისინი ბედავენ და სხვას ამუნათებენ!

◎ ევრო 2022

რაღა დარჩა...

როგორც **მოსალოდნელი იყო, საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებს ერევანში ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურში მძიმე ბრძოლა გადახდა თავს სომხეთის გუნდთან, მაგრამ იმავე მეტოქესთან რამდენიმე დღის წინათ თბილისში გამართული ასევე პრინციპული ჯახის ბრაზილიელი გმირის — ელისანდროს გადამწყვეტი გოლით საწადელს მაინც მიაღწია და ცალი ფეხით გაისად ნიდერლანდებში დანიშნულ ფინალურ რაუნდში შეაბიჯა — 3:2.**

დავძენთ, რომ დანარჩენი ბურთები მასპინძლებს კურტანიძემ და ბინიომ გაუტანეს, „ჯვაროსნებს“ კი ესპანეთის პრიმერა დივიზიონში მოთამაშე ბარსელონის „სალა გარსიას“ თავდამსხმელ ბრუნო პეტრის სახით კიდევ ერთი ნატურალიზებული ლეგიონერი შეემატათ.

რუსეთი — 12, საქართველო — 7, საფრანგეთი — 2, სომხეთი — 1 ქულა.

9 აპრილი. საქართველო — საფრანგეთი. ერთი ქულაც და პროგრამა — მინიმუმს წარმატებით შევასრულებთ.

◎ ყატარის კორტზე

მეორე სუნთქვა

ჩოგბურთის **საერთაშორისო ასოციაციის განახლებულ რეიტინგში 1405 ქულით 42-ე პოზიციამდე დაქვეითებულ ნიკოლოზ ბასილაშვილს, ეტყობა, მეორე სუნთქვა გაეხსნა, რასაც მის მიერ დოჰაში მიმდინარე ATP 250 კატეგორიის ტურნირზე მოპოვებული უკვე მეორე გამარჯვება გვაფიქრებინებს.**

ამჯერად ჩვენმა თანამემამულემ საათსა და 17 წუთში უშანსოდ სძლია ტუნისელ მალიკ ჟაზირს — 6:2, 6:2. აღსანიშნავია, რომ ნიკამ შესანიშნავად ითამაშა პირველ მოწოდებაზე — მხოლოდ 5 ქულა დათმო, 15 ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა და ექვსი შესაძლებლობა გამოიყენა. მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე, არც მეტი, არც ნაკლები, თვით როჯერ ფედერერი იქნება, რომელიც შარშანდელი იანვრის შემდეგ კორტს ბრიტანელ დანიელ ევანსთან მოპოვებული მძიმე გამარჯვებით დაუბრუნდა — 7:6, 3:6, 7:5. აქამდე ისინი ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვდნენ — 2016 წელს ავსტრალიის ღია პირველობის სტარტზე და მაშინ შვეიცარიელმა ლეგენდამ 6:2, 6:1, 6:2 წაივარჯიშა.

◎ ლეგიონერი

ჩვენი ლიგა

ხვალ **„ტენერიფე“ და „ბურგოსი“ ესპანეთის საკალათბურთო ლიგა ენდესას ეგიდით შეხვდებიან ერთმანეთს, თუმცა, მანამდე გიორგი შერმადინისა და თად მაკფადენის კლუბების გზები ჩემპიონთა ლიგაში გადაიკვეთა.**

ჯგუფური რაუნდის მატჩი კუნძულელებმა სტუმრად 79:101 დათმეს, მაგრამ, მეტოქეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, ადვილი შესაძლებელია, რომ პლეი-ოფში თამაშის უფლება ორივემ მოიპოვოს.

სადღეისოდ ორი ტურის შემდეგ „ბურგოსი“ ორი გამარჯვებით ლიდერობს საკუთარ კვარტეტს, ხოლო „ტენერიფეს“ ერთი მოგება აქვს.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა პირად მონაგარს, გიომ ბრძოლა 12 ქულით დაასრულა, „ჯვაროსანთა“ ნატურალიზებულმა ამერიკელმა გამთამაშებელმა კი ექვსიდან ხუთი(!) სამქულიანი ჩააგდო და სულ 17 ქულას მოუყარა თავი.

კიდევ უფრო საამაყოა ოკეანის გაღმიდან მოსული ინფორმაცია — „სეტონ ჰოლის“ 21 წლის მძიმე ფორვარდი **სანდრო მამუკელაშვილი** ამერიკის სტუდენტური ლიგის ერთ-ერთი წამყვანი კონფერენციის — „ბიგ ისტის“ წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ასეთი საშუალო მონაგარით: 17,8 ქულა, 7,3 მოხსნა და 3,1 პასი და ამ სეზონში ბედს ნბა-ს დრაფტზე ცდის, რათა რომელიმე კლუბს მოაწონოს თავი.

დავძენთ, რომ სანდრო კარლ მელოუნის სახელობის პრიზისთვისაც იბრძვის.

◎ ჩემპიონთა ლიგა

სხვათა ისმის ჟრიამული...

2019 წელი — „აიაქსი“, 2020 წელი — „ლიონი“, 2021 წელი — „პორტუ“. ეს იმ კლუბების ჩამონათვალია, ვინც უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში კრიშტიანუ რონალდუთი გაძლიერებულ ტურინის „იუვენტუსს“ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მთავარი პრიზისკენ გადაუკვეთა გზა, არადა, შეგახსენებთ, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი სწორედ მონატრებული ტიტულის მოსახვეჭად შეიძინა.

სხვათა შორის, ანალოგიური მიზნით აგრძელებს კარიერას ასევე საკმაოდ მობერებული ლეგენდარული მეკარე ჯანლუიჯი ბუფონიც, რომლის უმდიდრეს კოლექციასაც აღნიშნული ჯილდო აკლია. როცა თანამემამულეებთან პირველი მერვედფინალური პლეი-ოფი რონალდუს პარტნიორებმა მისაღები შედეგით — 1:2 დათმეს, წყვილში ფავორიტად მაინც იტალიელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ დიბალას, ბენტანკურის, დანილოსა და, განსაკუთრებით, დაცვის ვეტერანი ბურჯის კიელინის არყოფნამ სრულფასოვანი რევანში შეუძლებელი გახადა. არადა, მას შემდეგ, რაც უსუსური პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მასპინძლებმა კიეზას ძალისხმევით გარდატეხა შეიტანეს ბრძოლის ხასიათში და მინდვრიდან ირანელი ტემირის გაძევებიდან მალევე საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 2:1 (3:3), სტუმრები განწირულნი ჩანდნენ.

პირნეველებს მხსნელებად არგენტინელი მეკარე მარკეზინი, მრავალნაცადი პეპე და დუბლის ავტორი სერჟიო ოლივეირა მოევლინენ, რომლის შორეულ საჯარიმოსაც შჩესნი ვერ გაუმკლავდა და საბედისწერო შეცდომა დაუშვა. სხვათა შორის, ამ ეპიზოდში „ცოცხალ კედელში“ მდგომმა რონალდუმ ბურთს ზურგი შეაქცია. მოკლედ, ანდრეა პირლოს თავს ღრუბლები კიდევ უფრო მოიქუფრა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მისი შეგირდები სკუდეტოსთვის ბრძოლაშიც უიმედოდ ჩამორჩებიან „ინტერს“.

კიდევ ერთხელ გაგვაოცა „დორტმუნდის“ ნორვეგიელმა ბომბარდირმა ერლინგ ჰალანდმა, რომელმაც მორიგი დუბლით ტურნირიდან „სევილია“ დაითხოვა — 2:2 (პირველი მატჩი — 3:2). პირველად უკანასკნელი 13 სეზონის განმავლობაში, ამავე ეტაპზე გამოეთიშა ტურნირს „ბარსელონა“ „პარი სენ-ჟერმენთან“ —1:4, 1:1, ხოლო 2005 წლიდან მოყოლებული, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები, ასევე პირველად ერთბაშად ორივეს — რონალდუსა და მესის გარეშე ჩაივლის, არადა, ამ უკანასკნელმა პარიზში შორიდან ზღაპრული გოლი გაიტანა (120-ე ლიგაში):.

„ლივერპული“ — „ლაიფციგი“ 2:0 (2:0).

გოლები: სალაჰი, მანე.

სირცხვილი ჭყონდიდის ეპარქიაში

„ეს რა უბედურება იყო!..

კომკავშირელებიც კი არ უშლიდნენ ხელს საეკლესიო პირებს მსახურებაში – კრებაზე შევარდნაზე არცაა ლაპარაკი!“

3. ბოჭორიშვილის კლინიკის გენერალური დირექტორი დავით გადელია მარტვილში, ჭყონდიდის ეპარქიის რეზიდენციაში მომხდარი ინციდენტის შესახებ სოციალურ ქსელში წერს:

„მე, დიდი ხანია, თავს არავითარ პოლიტიკურ მიმდინარეობას არ მივაკუთვნებ. არც განსაკუთრებული სიყვარული მაქვს რომელიმე პარტიის მიმართ.

მძულს და ჩემი მოკრძალებული ძალით შევეწინააღმდეგები ყველა იმ ხელისუფლებას, ვინც კაცთმოძულეა და ფეხვეშ თელავს ადამიანის უფლებებს, რადგან ქვეყნის და პიროვნების თავისუფლებაზე უფრო დიდი მონაპოვარი ჩემთვის არ არსებობს.

სამწუხაროდ, ვერ ვარ სამაგალითო ეკლესიური მართლმადიდებელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წლებია, ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტია ქვეყანაში (მე ვინ ვარ, ყველა კვლევა ამას ამბობს), საუკუნეები გაუძლო გარეგან თუ შინაგან მტერს, ეშმაკის ხაფანგებს.

ამის გათვალისწინებით, სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი შავი აზრების, პოლიტიკური ამბიციისგან თავისუფალი, მოგიწოდებთ ყველას, მათ შორის ჩემს საყვარელ მეგობრებს, ვისაც გარკვეული პოლიტიკური სიმპათიები უზღუდავს ხედვის სრულ არეალს, დაფიქრდეთ: რას ნიშნავს ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ, დედაეკლესიის, პატრიარქის წინააღმდეგ გალაშქრება! ეშმაკი იმდენად ძლიერი და თავხედია, რომ დარწმუნებულია, შეძლებს დაუბნელოს გონება სხვა დროს სრულიად საღად მოაზროვნე, ჭკვიან ადამიანებსაც კი და ასეთი საშინელი აზრის მხარდაჭერისკენ, ხოლო ზოგს მოქმედებისკენაც უბიძგებს! ჰგონია, როგორც ყოველთვის, რომ „ერთ ნაბიჯზეა გამარჯვება“, მაგრამ უფალი მაღალია და ეშმაკი დამარცხდება! ვერც მართმადიდებლობას და ვერც ღვთის სახლს, ქართულ ეკლესიას ვერ მოერევა...

მაპატიეთ, თავად მიკვირს საკუთარი თავისგან ასეთი პათეტიკა, ან საიდან მომივიდა უცებ ასეთი რწმენა საკმაოდ მერყევ, ცოდვიან რიგით ქრისტიანს... რა თქმა უნდა, ძალიან იმოქმედა ჩემს მშობლიურ მხარეში გუშინდელმა ინციდენტმა – გარეშე პირების ასე თავხედურად, უცერემონიოდ ჩარევამ საეკლესიო წეს-განრიგში. საბჭოთა პერიოდშიც კი, რაც მახსოვს (უფრო ადრე ვერ

გეტყვით ზუსტად როგორ იყო), კომკავშირელებიც არ შედიოდნენ ეკლესიაში და არ უშლიდნენ ხელს საეკლესიო პირებს მსახურებაში – კრებაზე შევარდნაზე არცაა ლაპარაკი! გარეთ იდგნენ და ისე ახდენდნენ ზეწოლას მრევლზე. ეს რა უბედურება იყო..

...გთხოვთ, ეგეც შეძლოთ და გამოფხიზლდეთ...“

მოძალადეს პატიმრობა შეეფარდა

გურჯაანში ოჯახში ძალადობის ბრალდებით დაკავებულ ზურაბ შავლიაშვილის სასამართლო პროცესი დასრულდა. მოსამართლე ნანა ჩალათაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და 36 წლის კაცს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სხდომა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში გაიმართა. დაცვის მხარე ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა. პროცესს თავად ბრალდებული ესწრებოდა. მას პროცესზე სიტყვით არ უსარგებლია.

შემთხვევა გურჯაანში, ვაჩნაძის ქუჩაზე 9 მარტს მოხდა. გამოძიებით დადგინდა, რომ ცოლ-ქმარს შორის დაწყებული ფიზიკური დაპირისპირების დროს შავლიაშვილმა მეუღლეს ლითონის ანთებული ღუმელი იმ დროს ესროლა, როცა ქალს ხელში ბავშვი ეჭირა. 11 თვის ჩვილი მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა.

სამეგრელოში 60 წლის ქალი გააუპატიურეს

სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში 60 წლის ქალზე სექსუალურად იძალადეს. წინასწარი ინფორმაციით, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი მისივე მეზობელია. შემთხვევის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

პოლიციას დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის ვინაობა დადგენილი აქვს.

სტუმარ-მასპინძლობაც ამას ჰქვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.ს. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 თებერვალს ქუთაისში, მასთან სტუმრად მყოფ მეგობარს – 1978 წელს დაბადებულ ი.გ.-ს ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. დაჭრილი კაცი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობდა, სადაც მიმდინარე წლის 10 მარტს გარდაიცვალა.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სანთელი



რემი ვაშაკიძე, მალხაზ ქაჯაია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ნამდვილად გულში ჩასახუტებელი კაცის, შესანიშნავი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის

ზურაბ კახიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს უფროს მეცნიერ-თანამშრომელს მაია მერლანს დედის

თინა არღვლიანის

გარდაცვალების გამო.

ჩემო უზომო ტკივილო

დედავ, უზომო ტკივილო და მოუშუშებელო იარავ, სიყვარულო და მონატრებავ!

15 მარტს 11 წელი სრულდება ჩვენი განშორებიდან. უსაშინელესია დედასთან განშორება. ოი, რა გაუსაძლისი გამიხდა ყოფნა უშენოდ. შენ იყავი ჩემი უდიდესი იმედი და ფარი, ძლიერი დასაყრდენი ძალა.

უფალს ვმადლობ, მზრუნველი და მოყვარული შვილები მყავს, მაგრამ... მაგრამ დედა სულ სხვა არის, დედიკო. სულ სხვაგვარია დედის ალერსი და მოფერება, ჩახუტება მის თბილ უბეში. ნეტავ ერთხელ მაინც გამაგონა შენი ხმა, დედა, თუმცა ყურში სულ ჩამესმის.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, დედიკო, შენს თავს ვფიცავარ, გულზე თითქოს ცხელი წყალი მესხმება, ყელში მიჭერს, სუნთქვა მიძნელდება. 11 წელია, ჩვილი ბავშვივით მოგტირი, დედა. შენ, 21 წლისამ (სამი თვის ბავშვი შეგრჩი ხელში) მთელი შენი ახალგაზრდობა მე შემომწირე და მთელი ცხოვრება – მე და ჩემს შვილებს. შენი შვილობა მეამაყება, დედა. სინდის-ნამუსით სავსე, უკეთილშობილესი, გულისხმიერი, სტუმართმოყვარე ადამიანობის ეტალონი – აი, ასე გახასიათებენ, დედიკო, ნათესავები, ახლობლები, მეზობლები.

მიჭირს უშენობა, 62 წელი ერთად ვიცხოვრეთ და რა გასაკვირია, რომ ვერ ვძლებ უშენოდ. მენატრება შენი სითბო, შენი შეძახილი და იმედის მომცემი სიტყვები.

არის ცხოვრებაში არასასიამოვნო მომენტები, მაშინვე სასთუმალთან დადებულ შენს სურათთან მივდივარ და ისევ შენგან ვითხოვ დამაიმედებელ შეძახილს.

ჩემო მოუშუშებელო იარავ, მენატრები, მენატრები, გაუსაძლისად მენატრები.

უფალს ვთხოვ, სასუფეველში ამყოფოს შენი სული, დედა, ამინ!

ნანული (ნანა) გუნია
შენი დედისერთა

შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდ (იოანე) კავთიძე, გიორგი ლაგვილავა, ძმისშვილები გელა, დავით, ნატო, ია ჭანტურიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ

მერი (მარიამ) მიხეილის ასული ჭანტურიას

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 13 III, 14 სთ. აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის სასაფლაოზე.

გარდაიცვალა ცნობილი გამომგონებელი



განათლებით ინჟინერმა ლუ ოტენსმა კომპანია Philips-ში მუშაობა 1952 წელს დაიწყო. 1960 წელს იგი სათავეში ჩაუდგა კომპანიის პროდუქტების განვითარების განყოფილებას და ერთ წელიწადში მისმა გუნდმა პორტატული მაგნიტოფონი შექმნა.

1962 წელს ლუ ოტენსმა კომპაქტ-კასეტა შექმნა. იგი მიიჩნევდა, რომ თავად კასეტა საკმაოდ პატარა უნდა იყოს, რომ ქურთუკის ჯიბეში ეტეოდეს. მოგვიანებით კი ლუ ოტენსმა კომპაქტ-დისკი გამოიგონა.

მხოლოდ მართალი სიტყვით გივლია

თემურ წიკლაურის ხსოვნას

დასაგამიდან დასასრულამდე,
რა მოკლე გზაა, თან რა შორია,
წამი წუთებს ქმნის, წუთი – საათებს,
საათები კი – წლის ისტორიას.
    წელი წელს მისდევს, დრო არ ჩერდება,
    ათწლეულები იბადებიან,
    უსამართლობის ორომტრიალში,
    საუკუნენი უკან რჩებიან.
„დრონი მეფობენ, არა მეფენი“.
დროსთან თვით მეფეც უსუსურია,
უფლის ხელშია ირგვლივ ყოველი,
უფლის წყალობაც რჩეულთ ხვედრია.
შენ ღვთისგან იყავ მოვლინებული,
    შენს სახელს უფლის მირონი სცხია,
    ეკლიან გზაზე ნამუსის ქუდი
    მთელი ცხოვრება გიტარებია.
სამშობლოსათვის ამღერებული
ცრემლი თვალთაგან ბევრჯერ გდენია,
ალალი გულით მოსიარულეს,
მხოლოდ მართალი სიტყვით გივლია.
    ყველას ტკივილი გულთან მიგქონდა,
    ყველას სიხარულს შენ ზეიმობდი,
    დიდთან – დიდი და ბავშვთან – პატარა,
    ირგვლივ რამხელა სითბოს აფრქვევდი.
მთელი ცხოვრება სიკეთის მთესველს,
სიმართლე ლამპრით შენ გიძებნია,
ვერსად პოვე და დაქანცულს გითქვამს:
სიმართლე მხოლოდ თავად ღმერთია.
    კაცურკაცობის გედგა გვირგვინი,
    ნამუსის ქუდი არ მოგიხდია,
    შენ არ მომკვდარხარ, ფერი იცვალე,
    შენ დავიწყება არ გიწერია.

მზია მია გელაშვილი
08.02.2021

საპრეზიდენტო ორდენი დიდი ხელოვანის ოჯახს...

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძე საქართველოში ნეოკლასიკური და თანამედროვე ბალეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ქართული საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაციისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის დააჯილდოვა.

ორბელიანების სასახლეში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე სახელმწიფო ჯილდო ქორეოგრაფის მეუღლეს მარინა ალექსიძეს გადაეცა. სალომე ზურაბიშვილმა გიორგი ალექსიძის შემოქმედების განსაკუთრებულობასა და უნიკალურობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა მის როლს ქართული ბალეტის განვითარებაში.



„ადამიანი, რომელიც ასეთ კვალს ტოვებს და რომლის მემკვიდრეობა გრძელდება და განახლებასაც განიცდის, არ კვდება. ამიტომ, მე დღეს ცოცხალ ხელოვანს, ცოცხალ გიორგი ალექსიძეს ვაჯილდოვებ, საქართველოს დიდ პატრიოტსა და დიდ ხელოვანს!“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

დაჯილდოების ცერემონიაზე გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის დასმა, რომელსაც გიორგი ალექსიძის ქალიშვილი მარიამ ალექსიძე ხელმძღვანელობს, წარმოადგინა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მიხედვით დადგმული ბალეტი „დოვინ დოვენ დოვი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გოგი ალექსიძის ოჯახის წევრები, მეგობრები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

გიორგი ალექსიძე 2008 წელს გარდაიცვალა.

წულუკიანი „ერისიონს“ პრობლემას მოუგვარებს

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე დარგობრივი სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან შეხვედრებს განაგრძობს.

ამჯერად თეა წულუკიანი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელობას შეხვდა და ანსამბლის წევრთა სამუშაო პირობებს ადგილზე გაეცნო. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ანსამბლს არაერთი პრობლემა აწუხებს, მაგრამ მისი უპირველესი ამოცანა მის ინფრასტრუქტურას უკავშირდება. კერძოდ, „ერისიონისათვის“ გამოყოფილი ფართი კერძო საკუთრებაა, შენობა რესტავრაცია-რეკონსტრუქციას საჭიროებს და ანსამბლის წევრებს შემოქმედებისათვის არ აქვთ ელემენტარული პირობები.

„ჩვენ დავიწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ ეს და სხვა პრობლემა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში გადაიჭრას ანსამბლისათვის, რომელიც 135 წლისაა“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ოსკარის დაჯილდოება - ახალი წესით



ამერიკის კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია Oscar-ის დაჯილდოების 93-ე ცერემონიის რკინიგზის სადგურზე ჩატარებას არ გამორიცხავს.

გავრცელებული ინფორმაციით, ცერემონია შესაძლოა ლოს-ანჯელესის Union Station-ის რკინიგზის სადგურზე ჩატარდეს, რადგანაც ლოკაცია სოციალური დისტანციის უკეთ დაცვის საშუალებას იძლევა.

Oscar-ის დაჯილდოების ცერემონია 25 აპრილს გაიმართება. არ არის გამორიცხული, ღონისძიება რამდენიმე ლოკაციაზე ჩატარდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3238; ევრო - 3.9537;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6148;
100 რუბლი - 4.4895; თურქული ლირა - 0.4384;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9583;
1000 სომხური დრამი - 6.3197.

ამინდი 12 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +5
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +3
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0 დღე +6
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე -3
თბილისი: ღამე +2, დღე +4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge